პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მზრუველთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოქვეყნების 37-ე წელი № 229 (10623) | კვირა, 30 სექტემბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში

ჩვენი რესპუბლიკის ათეულათასობით კომუნისტი, კომკავშირელი და უპარტიო აქტივისტი 1 ოქტომბრიდან დაიწყებს მეცადინეობას პარტიული განათლების სისტემაში: პოლიტსკოლებში, მიმდინარე პოლიტიკის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეებში, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის საფუძვლების, კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელ სემინარებში და სხვ. მრავალი კომუნისტი დამოუკიდებლად იმუშავებს თეორიული ცოდნის ამაღლებისათვის.

კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი ყოველთვის უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ და აქცევენ ჩვენი კადრების მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრებით შეიარაღებას, კომუნისტების იდეურ-პოლიტიკურ აღზრდასა და გამოწრთობას. ამჟამად, როდესაც ჩვენს ქვეყანაში წარმოებულდება სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის დიადი ისტორიული ამოცანა, პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიურ მუშაობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

სკკპ XX ყრილობამ, რომელმაც დაგვისახა კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამა, აღნიშნა სერიოზული ნაკლოვანებები იდეოლოგიური მუშაობის დარგში. მთავარ ნაკლს წარმოადგენს პარტიული პროპაგანდის ცხოვრებისაგან, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანებისაგან მოწყვეტა.

საქართველოს რესპუბლიკის მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა, მთელი იდეოლოგიური მუშაობა ჯერ კიდევ მოწყვეტილია თანამედროვეობას, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას, აღმოფხვრილი არ არის წარსულით გატაცება. გასულ სასწავლო წელს სწორად არ იყო დაკომპლექტებული კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი სემინარები და წრეები, ყურადღება არ ექცეოდა კომუნისტებისა და უპარტიო აქტივისტების სურვილს. გარდა ამისა, პარტიული სწავლების ფორმებში გაერთიანების ნებაყოფლობითი პრინციპი კომუნისტების ნაწილმა არასწორად გაიგო. თავის თავზე დამოუკიდებლად მომუშავე ბევრი კომუნისტი გაურბოდა სწავლას, ხოლო ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია და მისი ხელმძღვანელები არ უწევდნენ მათ სათანადო კონტროლსა და დახმარებას.

არადამაკმაყოფილებლად წარმოებდა მუშაობა პიროვნების კულტის ანტიმარქსისტული არსისა და იმ დიდი ზიანის განმარტებისათვის, რაც მან მიაყენა საბჭოთა ხალხს, განსაკუთრებით ქართველ ხალხს.

„პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის შედეგებისა და ახალ სასწავლო წელს პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზული მოსამზადებელი მუშაობა გასწიეს. ახალ სასწავლო წელს მნიშვნელოვნად დიდდება წრეებისა და სემინარების, მათ შორის კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი სემინარების რაოდენობა, აგრეთვე ორწლიანი ეკონომიური სკოლების რიცხვი პარტიის რაიკომებთან.

ზაფხულის პერიოდში სერიოზული ყურადღება მიექცა პროპაგანდისტთა კადრების შერჩევას. პოლიტსკოლების, წრეებისა და სემინარების ხელმძღვანელებად გამოყოფილი არიან თეორიულად მომზადებულნი, სათანადო გამოცდილების მქონე, პროპაგანდისტული საქმიანობით დაინტერესებული ამხანაგები. ბევრი მათგანი გადამზადებულ იქნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწყობილ კურსებზე.

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა კომუნისტებისა და უპარტიო აქტივისტების სწავლების ფორმის შერჩევისას გაითვალისწინეს მათი საწარმოო საქმიანობა. მაგალითად, მრეწველობის ეკონომიკის შემსწავლელი სემინარი ჩამოყალიბებულია თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის პარტორგანიზაციასთან. სოციალისტური სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საკითხების შემსწავლელი სემინარი შეიქმნა მცხეთის მტს-ის, საგურამოს კოლმეურნეობა „განთიადის“, სასელექციო სადგურის და სხვა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან.

მაგრამ, სამწუხაროდ, პარტიული განათლების ქსელის დაკომპლექტებისას ზოგიერთ პარტორგანიზაციაში კომუნისტებისა და უპარტიო აქტივისტების სურვილსა და მომზადების დონეს კვლავ არ ექცევა სათანადო ყურადღება. მაგალითად, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის სარემონტო-მექანიკური საამქროს პარტორგანიზაციის მდივანმა ა. მეტონიძემ საამქროს უფროსი ა. ჩაკვეტაძე ჩარიცხა მრეწველობის ეკონომიკის შემსწავლელი სემინარის მსმენელად, მასთან ყოველგვარი გასაუბრების გარეშე. ამხ. ჩაკვეტაძეს კი სურვილი აქვს დამოუკიდებელი მუშაობას გზით შეისწავლოს პოლიტიკური ეკონომია.

ცნობილია, რომ პროპაგანდისტულ მუშაობაში მთავარია მისი მაღალი იდეური შინაარსი, ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან განუწყვეტელი კავშირი. ამიტომ პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა შეაიარაღონ პროპაგანდისტთა კადრები მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნით. პროპაგანდისტები ვალდებულნი არიან ყოველდღიურად იმაღლებდნენ ცოდნას, შემოქმედებითად უდგებოდნენ თავიანთ მუშაობას. ცხადია, თუ პროპაგანდისტს არ შესწევს უნარი ცოცხლად და საინტერესოდ გადასცეს მასალა, დაუკავშიროს თანამედროვეობას, გახადოს მიმზიდველი, სწავლებისადმი კომუნისტთა ინტერესი დაბალი იქნება.

პარტიულ განათლებაში სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკური განათლების სახლებისა და კაბინეტების მუშაობას. უფრო ფართოდ უნდა გამოვიყენოთ მათი შესაძლებლობანი, ავამაღლოთ მათი როლი კომუნისტებისა და უპარტიო აქტივისტების, პოლიტიკურ სწავლებაში. ლიტერატურის შერჩევით, ლექციებისა და კონსულტაციების სისტემატურად მოწყობით მათ დახმარება უნდა გაუწიონ კომუნისტებს, კერძოდ, იმ კომუნისტებს, რომლებმაც სწავლების დამოუკიდებელი ფორმა აირჩიეს.

პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა უხელმძღვანელონ ლენინურ კომკავშირს ახალგაზრდობის პოლიტიკურ აღზრდაში, ქალიშვილებისა და ჭაბუკების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებაში. საჭიროა ისინი დაეხმარონ კომკავშირულ ორგანიზაციებს პროპაგანდისტთა შერჩევასა და მომზადებაში, კომკავშირული პოლიტგანათლების ქსელში ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებასა და წარმართვაში.

პარტიული განათლების ქსელში სწავლის ორგანიზებულად დაწყება, პოლიტიკური სწავლების, მთელი იდეოლოგიური მუშაობის მტკიცედ დაკავშირება ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან ყველა პარტიული ორგანიზაციის დიდმნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მიიღეს ნორვეგიის კომპარტიის დელეგაცია

29 სექტემბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა საუბარი ნორვეგიის კომპარტიის დელეგაციასთან, რომელიც ჩინეთიდან მომავალი გზად იმყოფება მოსკოვში.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ა. სუსლოვმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. პ. ნ. პოსპელოვმა, ნორვეგიის კომპარტიის თავმჯდომარემ ამხ. ემილ ლევლიენმა, ნორვეგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. იუსტ ლიპემ, ნორვეგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრმა ამხ. რანდულფ დალანდმა და ნორვეგიის კომუნისტური პარტიის კირკენესის ოლქის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. კოლბეერნ გუვოგმა.

ორი მოძმე პარტიის წარმომადგენელთა საუბარმა მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით ჩაიარა.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ დ. ტ. შეპილოვის ნიუ-იორკს მომავალი გამგზავრების შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში დანიშნულია სუეცის არხის საკითხის განხილვა, საბჭოთა მთავრობამ თავის წარმომადგენლად ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობისათვის დანიშნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი.

დ. ტ. შეპილოვი უახლოეს დღეებში გაემგზავრება ნიუ-იორკს.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

პეკინი, 29 სექტემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება 1956 წლის 28 სექტემბერს გაიმართა პლენუმი ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა, რომელიც აირჩია ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII სრულიად ჩინეთის ყრილობამ.

პლენუმმა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩია მაო ძე-დუნი, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეებად ლიუ შაო-ცი, ჯოუ ენ-ლაი, ჯუ დე და ჩენ იუნი.

პლენუმმა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად აირჩია დენ სიაო-პინი.

პლენუმმა აირჩია ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო შემდეგი შემადგენლობით: მაო ძე-დუნი, ლიუ შაო-ცი, ჯოუ ენ-ლაი, ჯუ დე, ჩენ იუნი, დენ სიაო-პინი, ლინ ბიაო, ლინ ბო-ციუი, დუნ ბი-უ, პინ ჯენი, ლო ჟუნ-ხუანი, ჩენ ი, ლი ფუ-ჩუნი, პინ დე-ხუაი, ლიუ ბო-ჩენი, ხე ლუნი და ლი სიან-ნიანი.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებად პლენუმმა აირჩია: ულანფუ, ჯან ვენ-ტიანი, ლუ დინ-ი, ჩენ ბო-და, კან შენი და ბო ი-ბო.

პლენუმმა აირჩია ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მუდმივი კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით მაო ძე-დუნი, ლიუ შაო-ცი, ჯოუ ენ-ლაი, ჯუ დე, ჩენ იუნი და დენ სიაო-პინი.

პლენუმმა აგრეთვე აირჩია ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნო შემდეგი შემადგენლობით: დენ სიაო-პინი, პინ ჯენი, ვან ძია-სიანი, ტან ჯენ-ლინი, ტან ჯენი, ხუან კე-ჩენი და ლი სიუე-ფინი.

პლენუმმა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრობის კანდიდატებად აირჩია: ლიუ ლან-ტაო, იან შან-კუნი და ხუ ციაო-მუ.

პლენუმმა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის ცენტრალური კომისიის წევრებად აირჩია: ვან ცუნ-უ, ვან ვეი-ჯოუ, ვან ვეი-ანი, შუაი მინ-ცი, ლიუ გე-პინი, ლიუ სი-უ, ლიუ ლან-ტაო, ლი ში-ინი, ლი ჩუ-ლი, სიაო ხუა, უ გაი-ჯი, გაო კე-ლინი, გაო იანი, მა მინ-ფანი, ჯან დინ-ჩენი, დუნ ბი-უ და ციან ინი.

პლენუმმა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის ცენტრალური კომისიის წევრობის კანდიდატებად აირჩია: ვან ხანი, ლიუ ცი-ჟენი, ლი ძინ-ინი და გუნ ძი-ჟუნი.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის ცენტრალური კომისიის მდივნად პლენუმმა აირჩია დუნ ბი-უ, ხოლო მის მოადგილეებად — ლიუ ლან-ტაო, სიაო ხუა, ვან ცუნ-უ, ციან ინი და ლიუ სი-უ.

სომხეთის სს რესპუბლიკამ ვადამდე შეასრულა პურის დამზადების გეგმა

სომხეთის სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. გრძელდება პურის ჩაბარება მტს-ების მუშაობისათვის ნატურანაზღაურების ანგარიშში.

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო სსრ კავშირში

იალტა, 28 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ყირიმში ჩამოვიდნენ ჩინეთში მყოფ[illegible] იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო მეუღლითურთ, იუგოსლავიის ფ[illegible] ბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვიჩეს თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე რანკოვიჩი, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სახალხო რესპუბლიკის სახალხო სკუპშჩინის თავმჯდომარე ჯურო პუცარი, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ველკო მიჩუნოვიჩი მეუღლითურთ ისვენებდნენ მათთვის განკუთვნილ რეზიდენციებში ყირიმის სამხრეთ სანაპიროზე.

დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ნ. ს. ხრუშჩოვმა სადილი გამართა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის იოსიპ ბროზ ტიტოს პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო მეუღლითურთ, ა. რანკოვიჩი, ჯ. პუცარი, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ვ. მიჩუნოვიჩი მეუღლითურთ, გენერალი მ. ჟეჟელი და მოსკოვში იუგოსლავიის საელჩოს პირველი მდივანი რ. დიზდარევიჩი.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ი. კირიჩენკო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი მეუღლეებითურთ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ე. ა. ფურცევა, საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო, არმიის გენერალი ი. ა. სეროვი მეუღლეებითურთ და სსრ კავშირის ელჩი იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში ნ. პ. ფირიუბინი, რომლებიც ყირიმში ისვენებენ.

სოჭიდან გაემგზავრა ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი სუკარნო

სოჭი, 28 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი დოქტორი სუკარნო და მისი თანმხლები პირები სოჭიდან კუიბიშევში გაფრინდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მიმავალნი. საბჭოთა კავშირ-ჩინეთის საზღვრამდე დოქტორ სუკარნოსა და მის თანამგზავრებს ახლავან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. თ. გორკინი, არმიის გენერალი მ. ი. კაზაკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის განყოფილების გამგე ბ. მ. ვოლკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოადგილე ბ. გ. ლოპატენკო.

ინდონეზიელი სტუმრები გააცილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ, უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ შ. რ. რაშიდოვმა, სსრ კავშირის ელჩმა ინდონეზიაში დ. ა. ჟუკოვმა, სოჭის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დ. ს. ვასილიევმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სოჭის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ს. გ. პლეტნიოვმა, საქალაქო საბჭოს დეპუტატებმა.

მოსკოვის მშრომელები აღნიშნავენ დიდი ჩინელი ხალხის ეროვნულ დღესასწაულს

საზეიმო კრება კავშირების სახლის სვეტებიან დარგაზში

დიდი ჩინელი ხალხისათვის სიამაყისა და გულწრფელი სიხარულის გრძნობით აღნიშნავენ საბჭოთა კავშირის მშრომელები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების მე-7 წლისთავს.

ულოცავენ რა ისტორიულ გამარჯვებებს ჩინეთის მრავალმილიონიან ხალხს, საბჭოთა ადამიანები უსურვებენ მას ახალ წარმატებებს სოციალიზმისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის ბრძოლაში.

ამ კეთილი გრძნობებისა და სურვილების ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინება იყო საბჭოთა დედაქალაქის მშრომელების წარმომადგენელთა კრება, რომელიც 28 სექტემბერს მოიწვიეს პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოებამ, სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ. კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში მოვიდნენ მუშები და ინჟინრები, მეცნიერების მოღვაწენი და მოსწავლე ახალგაზრდობა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მინისტრები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთული სცენის თავზე წარწერილია სიტყვები, რომლებიც გამოხატავენ საბჭოთა ადამიანების ფიქრებსა და გრძნობებს:

— გაუმარჯოს და გაიფურჩქნოს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა შორის ძმური მეგობრობა და თანამშრომლობა!

საზეიმო კრების პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიქოიანი, მ. გ. პერვუხინი, ა. ბ. არისტოვი, ი. თ. თევოსიანი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ჩენ ჩუ, საზოგადო მოღვაწეები, მშრომელთა წარმომადგენლები.

საზეიმო კრება მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრმა ვ. პ. ელიუტინმა.

— ჩვენ შევიკრიბენით, — ამბობს იგი, — 1 ოქტომბრის წინ, როცა შესრულდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების მე-7 წლისთავი. ახალ ჩინეთს ღირსეული ადგილი უკავია სოციალისტური ქვეყნების ძმურ ოჯახში, იბრძვის სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ყოველი ღონისძიებით განმტკიცებისათვის და უდიდესი წვლილი შეიტანა საერთაშორისო უშიშროებისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ხალხთა ბრძოლის საქმეში.

ჩინეთთან ჩვენი სამშობლოს ურთიერთობის ისტორია მოწმობს ჩვენი ხალხების ღრმა ურთიერთ პატივისცემას, მათს კეთილნაყოფიერ ურთიერთგავლენას.

დღეს ჩვენ მივესალმებით ჩინეთის დიდ ხალხს და ვულოცავთ მას იმ თვალსაჩინო მიღწევებს, რომლებიც შესაძლებელი გახდა ახალი, სახალხო ხელისუფლების შექმნის საფუძველზე. ჩვენ მივესალმებით ჩინეთის სახელოვან კომუნისტურ პარტიას, თავისი ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს და მის VIII ყრილობას, რომელმაც შეაჯამა ჩინელი ხალხის რევოლუციური ბრძოლის შედეგები და მიიღო შემდგომი მუშაობის პროგრამა ჩინეთში სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად. ჩინელ კომუნისტებთან ერთად ჩვენ მივესალმებით ჩინეთის ყველა სხვა პროგრესულ და პატრიოტულ მოღვაწეებს, მათს წვლილს აწალი ჩინეთის მშენებლობაში, იმპერიალისტთა და რეაქციონერთა ხრიკებისაგან ჩინელი ხალხის ინტერესების დაცვის საქმეში. ჩვენ სულით და გულით ვუსურვებთ ჩინელ ხალხს ახალ წარმატებებს როგორც სოციალიზმის მშენებლობაში, ისე მსოფლიოს ყველა სხვა ხალხთან მშვიდობიანი ურთიერთობის განმტკიცებაში და მის ბრძოლაში ხალხთა მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობისათვის.

ჩვენ მივესალმებით ჩინელი ხალხის ყველა მეგობარს მთელ მსოფლიოში. ახალი ჩინეთის დაბადების წლისთავის დღესასწაული ყველა მისი მეგობრის დღესასწაულია.

ამხ. ელიუტინი კრებას გახსნილად აცხადებს. საზეიმოდ ყოერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები, რომლებიც ორკესტრმა შეასრულა.

მოხსენება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მე-7 წლისთავის შესახებ გააკეთა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. ბ. არისტოვმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

ამხ. ა. ბ. არისტოვის მოხსენება

ამხანაგებო!

შვიდი წელი გავიდა იმ სამახსოვრო დღიდან, როცა გმირმა ჩინელმა ხალხმა თავისი სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდი ისტორიული გამარჯვება მოიპოვა ფეოდალური რეაქციისა და იმპერიალიზმის ძალებზე და შექმნა თავისი მძლავრი, ნამდვილად ხალხური, დამოუკიდებელი სახელმწიფო — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.

მას შემდეგ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს ჩინელ ხალხთან ერთად ფართოდ აღნიშნავს სოციალისტური ბანაკის ყველა ხალხი, დედამიწის ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანი, როგორც კაცობრიობის განთავისუფლების ერთ-ერთ სასიხარულო დღესასწაულს.

სახალხო რევოლუციის გამარჯვებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის მეშვიდე წლისთავს დღეს საბჭოთა ხალხი თავის ერთგულ მეგობარსა და მებრძოლ მოკავშირეს — დიდ ჩინელ ხალხს უთვლის უაღრესად მხურვალე მილოცვას და უსურვებს მას ახალ წარმატებებს სოციალიზმის მშენებლობაში. **(ხანგრძლივი ტაში).**

1949 წლის 1 ოქტომბერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნა არის ჩინელი ხალხისა და მისი კომუნისტური პარტიის ხანგრძლივი და თავდადებული ბრძოლის შედეგი, დიდი სახალხო რევოლუციის გამარჯვების შედეგი. რაც უფრო მეტი დრო გადის ჩინეთის სახალხო რევოლუციის გამარჯვების დღიდან, მით უფრო სრულად და ყოველმხრივ იჩენს თავს მისი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა, მისი უდიდესი გავლენა ისტორიული მოვლენების განვითარებაზე.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ჩინეთში სახალხო რევოლუციის გამარჯვება და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნა ყველაზე თვალსაჩინო მოვლენაა, რომელიც უდიდეს ზეგავლენას ახდენს აღმოსავლეთის ქვეყნებში განმთავისუფლებელი ბრძოლის განვითარებაზე, მსოფლიო ისტორიის მთელ მსვლელობაზე. ჩინეთის გადასვლამ სოციალისტურ სახელმწიფოთა ოჯახში გადაჭრით შეცვალა სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ძალთა თანაფარდობა საერთაშორისო ასპარეზზე სოციალიზმის სასარგებლოდ. პროგრესულ კაცობრიობას ჩინეთში სახალხო რევოლუციის გამარჯვება სამართლიანად მიიჩნია ერთ-ერთ ყველაზე დიდმნიშვნელოვან ეტაპად მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის დიადი საქმის საყოველთაო გამარჯვების გზაზე.

სახალხო რევოლუციის გამარჯვება მოასწავებდა ახალი ერის დაწყებას 600-მილიონიანი ჩინელი ხალხის ცხოვრებაში. მან გაათავისუფლა მისი დაუშრეტელი შემოქმედებითი ძალები, ჩაბერა მას უდიდესი ენერგია და გამოიყვანა სოციალიზმის მშენებლობის ფართო გზაზე. გახდა რა თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონი და საკუთარ ხელში აიღო თავისი ბედი, ჩინელმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოკლე ვადაში მოიპოვა შესანიშნავი გამარჯვებანი სამეურნეო, კულტურული და სახელმწიფოებრივი მშენებლობის ყველა დარგში. ახლა აღარ არის ჩამორჩენილი, ნახევრადკოლონიური ჩინეთი. არის მძლავრი სახალხო ჩინეთი, რომელიც სოციალიზმს აშენებს, ჩინეთი, რომელიც სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანასთან და საბჭოთა კავშირთან ერთად წარმოადგენს კაცობრიობის მოწინავე ძალას, ავანგარდს.

იმ დიდი სოციალისტური გარდაქმნების შედეგები, რომლებიც ჩინელმა ხალხმა უმაგალითოდ მოკლე ვადაში განახორციელა, შეაჯამა ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII სრულიად ჩინეთის ყრილობამ, რომლის მუშაობას შეუნელებელი ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს საბჭოთა ადამიანები, ისევე როგორც მთელი მსოფლიოს ხალხები.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII სრულიად ჩინეთის ყრილობა არა მარტო დიდი მოვლენაა ჩინელი ხალხის ცხოვრებაში, არამედ აგრეთვე დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტია მთელი საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის განვითარებაში. ყრილობამ განაზოგადა შეძენილი გამოცდილება და დასახა შემდგომი სოციალისტური მშენებლობის შთამაგონებელი პროგრამა. ეჭვი არ არის, რომ ყრილობის გადაწყვეტილებანი კიდევ უფრო დარაზმავენ ჩინელი ხალხის მთელ ძალებს დიდი სოციალისტური ჩინეთის აშენებისათვის საბრძოლველად.

დასკვნები, რომლებიც ყრილობამ გააკეთა ჩინეთის რევოლუციის განვითარებაში, მისი გამარჯვების პირობების შესახებ, ჩინეთში სოციალისტურ გარდაქმნათა გზებისა და მეთოდების შესახებ, სერიოზული წვლილია მარქსისტულ-ლენინურ თეორიაში, დიდ ღირებულებას წარმოადგენს მომძე კომუნისტური და მუშათა პარტიებისათვის.

ჩინელი ხალხის გამარჯვება მარქსიზმ-ლენინიზმის ზეიმის კიდევ ერთი თვალსაჩინო დადასტურებაა, გენიალური ლენინური განჭვრეტის დამაჯერებელი დადასტურებაა. ლაპარაკობდა რა, რომ მარქსიზმის გამოჩენის შემდეგ ისტორიას მისთვის მოჰქონდა ახალი დადასტურება და ტრიუმფები, ლენინი 1913 წელს წერდა: „მაგრამ კიდევ უფრო მეტ ტრიუმფს მოუტანს მარქსიზმს, როგორც პროლეტარიატის მოძღვრებას, მომავალი ისტორიული ეპოქა“. ლენინის ეს სიტყვები ბრწყინვალედ დაადასტურა ისტორიული მოვლენების მსვლელობამ. ოთხი წლის შემდეგ მოხდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომელმაც დასაბამი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში — სოციალიზმისა და კომუნიზმის ერას. ოქტომბრის გამარჯვებამ გამოაღვიძა აღმოსავლეთის მრავალმილიონიანი ხალხები, აღიძრა მათ გულში ფეოდალური და კოლონიური მონობის ბორკილებისაგან განთავისუფლების იმედი, დაუსახა განთავისუფლების გზა. „ოქტომბრის რევოლუციის ქვემეხების ზალპებმა, — აღნიშნავდა ამხანაგი მაო ძე-დუნი, — ჩვენამდე მოიტანა მარქსიზმ-ლენინიზმი. ოქტომბრის რევოლუცია დაეხსნა მსოფლიოს და ჩინეთის პროგრესულ ელემენტებს გამოეყენებინათ პროლეტარული მსოფლმხედველობა თავისი ქვეყნის ბედის გამოსარკვევად და თავისი საკუთარი პრობლემების გადასასინჯავად. ვიაროთ რუსების გზით — ასეთი იყო დასკვნა“.

მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით შეიარაღებულმა ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ დიდ გამარჯვებებს მიაღწია. მარქსიზმ-ლენინიზმისა და ჩინეთის რევოლუციის ურთიერთკავშირს ამხანაგი მაო ძე-დუნი ხატოვანად ადარებდა ისრისა და მიზნის ურთიერთკავშირს. „ისარი“ არის მარქსიზმ-ლენინიზმი, ხოლო „მიზანი“ — ჩინეთის რევოლუცია. უნარიანად იყენებს რა მარქსიზმ-ლენინიზმს სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკაში, ჩინეთის კომპარტია მტკიცე რწმენით მიდის დასახული მიზნისაკენ.

ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ შექმნა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, რევოლუციური დროშის ქვეშ

(დასასრული მე-2 გვერდზე)

მოსკოვის მშრომელები აღნიშნავენ დიდი ჩინელი ხალხის ეროვნულ დღესასწაულს

ამხ. ა. ბ. არისტოვის მოხსენების დასასრული

ეროვნული

დარაზმა ერის მთელი ჯანსაღი ძალები და უზრუნველყო ჩინეთის სახალხო რევოლუციის გამარჯვება, რომლის შედეგად დამყარდა ნამდვილი სახალხო ხელისუფლება — ხალხის დემოკრატიული დიქტატურა, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის ერთ-ერთი ფორმაა.

ჩინელი ხალხის გმირულ ბრძოლას განუზრელად უჭერდნენ მხარს საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები; მას ორმად თანაუგრძნობდნენ მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები. ამან შექმნა ხელსაყრელი საერთაშორისო პირობები ჩინეთის სახალხო რევოლუციის გასამარჯვებლად, გააადვილა მისი გამარჯვება.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნით ძირითადად დამთავრდა ჩინეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ეტაპი და დაიწყო სოციალისტური რევოლუციის ეტაპი, ჩინეთის გადასვლა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე.

ხელმძღვანელობს რა მარქსისტულ-ლენინური თეორიით, შემოქმედებითად იყენებს რა საბჭოთა კავშირის, ყველა სოციალისტური ქვეყნის ისტორიულ გამოცდილებას თავისი ქვეყნის კონკრეტულ პირობებში, ეყრდნობა რა თავის მდიდარ პოლიტიკურ გამოცდილებას, რომელიც შეიძინა ჩინეთის დიდი რევოლუციის მსვლელობაში, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ასე განსაზღვრა გენერალური ხაზი გარდამავალი პერიოდისათვის: საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში თანდათანობით განახორციელოს ჩინეთის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და თანდათანობით განახორციელოს სოფლის მეურნეობის, შინამრეწველობის, კაპიტალისტური მრეწველობისა და ვაჭრობის სოციალისტური გარდაქმნები.

ამ გენერალური ხაზის განხორციელებისათვის ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ მოუწოდა ქვეყნის მთელ ძალებს. უკანასკნელ წელს ჩინელმა ხალხმა სრული და გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა სოფლის მეურნეობის, შინამრეწველობის, კაპიტალისტური მრეწველობისა და ვაჭრობის სოციალისტურ გარდაქმნაში. საბჭოთა ხალხი მხურვალედ, სულითა და გულით მიესალმება მოძმე ჩინელი ხალხის ამ ახალ გამარჯვებას! **(ტაში).**

შემოქმედებითად უდგებიან რა სოციალიზმში გადასვლის საკითხების გადაჭრას, ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა, გამოჩენილმა მარქსისტ-ლენინელმა მაო ძე-დუნმა გაამდიდრეს მეცნიერული სოციალიზმის თეორია და პრაქტიკა სოციალისტურ საწყისებზე საზოგადოების გარდაქმნის შესახებ.

სხვა ქვეყნებში სოციალისტური გარდაქმნებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩინეთის კომუნისტური პარტიის მუშაობის გამოცდილებას მუშათა კლასსა და ეროვნულ ბურჟუაზიას შორის სწორი ურთიერთობის დამყარების საქმეში. მუშათა კლასისა და ეროვნული ბურჟუაზიის ბლოკი შეიქმნა კოლონიური და იმპერიალისტური შონობისაგან ჩინეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლის პერიოდში. ჩინეთის სახალხო რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ერთიანი სახალხო-დემოკრატიული ფრონტი, რომლის საფუძველია მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, ხოლო ხელმძღვანელი ძალაა მუშათა კლასი და მისი კომუნისტური პარტია, შენარჩუნებული და განმტკიცებულია და სოციალიზმის მშენებლობის დიადი საქმის სამსახურშია ჩაყენებული. ეროვნულ ბურჟუაზიასთან მუშათა კლასის კავშირი დადებით როლს ასრულებს ბურჟუაზიის აღზრდისა და ხელახლა აღზრდის საქმეში. ამჟამად სახალხო ჩინეთი ახორციელებს დიდ სოციალისტურ გარდაქმნებს, რომელთა მსვლელობაში იცვლება არა მარტო ეკონომიკა, არამედ ადამიანთა შეგნებაც.

ჩინელი ხალხი წარმატებით შრომობს პირველი ხუთწლიანი გეგმის (1953-1957 წლები) შესრულებისათვის, რომელიც ქმნის სოციალიზმის ეკონომიურ საფუძვლებს ჩინეთში. გეგმით გათვალისწინებულია 694 ახალი დიდი სამრეწველო ობიექტის მშენებლობა. გეგმის შესრულების მიმდინარეობაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა მძიმე მრეწველობა ჩრდილოაღმოსავლეთ ჩინეთში, შენდება ახალი მეტალურგიული ბაზები ცენტრალურ ჩინეთსა და შიდა მონოლოეთში. შენდება ახალი სამრეწველო ქალაქები. ჩინეთის მრეწველობა ახლა უშვებს სატვირთო ავტომობილებს, რეაქტიულ თვითმფრინავებს, მძლავრ გენერატორებს, მსხვილ ფოლადის ნაგლინს, მაღალხარისხოვან ლეგირებულ ფოლადს, მეტალურგიულ და სამთამადნო მოწყობილობას, უახლესი ნიმუშების ლითონსაჭრელ ჩარხებს და თანამედროვე მრეწველობის სხვა პროდუქციას. ეს საწარმოები შეადგენენ ჩინეთის ინდუსტრიალიზაციის საფუძველს.

პირველი ხუთწლიანი გეგმით მრეწველობის მთლიანი პროდუქცია უნდა გაიზარდოს 90 პროცენტით და მეტით. ყველა მონაცემი მოწმობს, რომ გეგმა შესრულდება წარმატებით და ვადამდე. მაგალითად, მრეწველობის მთლიანი პროდუქციის გამოშვების დარგში ხუთწლიანი გეგმა ოთხი წლის შესრულდება, ხოლო 1957 წელს — ხუთწლედის უკანასკნელ წელს — იგი შესრულდება დაახლოებით 15 პროცენტის გადაჭარბებით.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს კაპიტალისტური მრეწველობისა და ვაჭრობის სოციალისტური გარდაქმნის პროცესი. 1956 წლის ივნისის დამლევისათვის კაპიტალისტური მრეწველობა 99 პროცენტით პროდუქციის ღირებულების მიხედვით და 98 პროცენტითმასში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვის მიხედვით გარდაქმნილი იყო შერეულ სახელმწიფო-კერძო მრეწველობად.

მრეწველობის ხვედრითი წონა ქვეყნის მთლიან პროდუქციაში 1952 წლის 28 პროცენტიდან გაიზარდა 34 პროცენტამდე 1955 წელს, ხოლო წარმოების საშუალებათა წარმოების ხვედრითი წონა 39,7 პროცენტიდან გაიზარდა 46,0 პროცენტამდე. მრეწველობის მთლიან პროდუქციაში ახლა გაბატონებული მდგომარეობა უკავია სახელმწიფო სექტორს.

იზრდება და ვითარდება სოფლის მეურნეობა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩინეთის ეკონომიკაში. მარცვლეულის მოსავალმა 1955 წელს მიაღწია 184 მილიონ ტონას, ხოლო ბამბის ბოჭკოსი — 1.519 ათას ტონას.

მიმდინარეობს კოლექტიურ რელსებზე, სოციალისტური განვითარების გზაზე წვრილ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა გადაყვანის დიდი პროცესი. ამ მუშაობაში, რომელსაც დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს, სახალხო ჩინეთმა თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვა. კოლექტიური მეურნეობანი უკვე გადამწყვეტ როლს ასრულებენ ჩინეთის სოფლის მეურნეობაში. 1956 წლის ივნისის დამლევისათვის ჩინეთში შექმნილი იყო 992 ათასი სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივი, რომლებშიც შევიდა მთელი გლეხთა კომლების 91,7 პროცენტი, მათ შორის უმაღლესი ტიპის კოოპერატივებში შევიდა 62,6 პროცენტი. მოსალოდნელია, რომ ხუთწლედის დამლევისათვის — 1957 წელს ძირითადად განხორციელდება სოფლის მეურნეობისა და შინამრეწველობის კოოპერირება მთელი სახელმწიფოს მასშტაბით, გარდა ცალკეული განაპირა რაიონებისა.

ჩინეთისათვის უმაგალითო ტემპით ფართოვდება რკინიგზებისა და გზატკეცილების ქსელი, რომლებიც აერთიანებენ წინათ გაკალკეგებულ, მაგრამ თავიანთი ბუნებრივი რესურსებით მდიდარ რაიონებს ჩინეთის სამრეწველო ცენტრებთან. პარტიის მიერ შთაგონებულ მშენებლებს გაჰყავთ თანამედროვე გზები იქ, სადაც წინათ ადამიანს ფეხი არ დაუდგამს. ტანის დინასტიის ეპოქის ცნობილი პოეტი ლი ბო 1200 წლის წინათ წერდა უგზოობაზე სიჩუანის პროვინციაში: „ძნელი გზაა სიჩუანში, უფრო ძნელი, ვიდრე მოხვდე ლაჟვარდ ცაში“. ასეთი რჩებოდა გზები სახალხო რევოლუციის გამარჯვებამდე. ახლა იქ ციცაბო კლდეებზე, სწრაფ მდინარეებზე და უფსკრულებზე გაჰყავთ თანამედროვე რკინიგზა. მწყობრში ჩადგა სიკან-ტიბეტისა და ცინხაი-ტიბეტის გზატკეცილები, რომლებმაც ტიბეტი დაუკავშირეს ჩინეთის შიდა რაიონებს.

აშენდა რკინიგზა, რომელიც აერთებს ჩინეთს, მონღოლეთსა და საბჭოთა კავშირს, შენდება რკინიგზა, რომელიც გადაკვეთს მთელ სინძიანის პროვინციას და საბჭოთა საზღვრამდე მივა.

თუ იმპერიალისტურ კოლონიზატორებს, რომლებიც წინათ ბატონობდნენ ჩინეთის ეკონომიკაში, გზები გაჰყავდათ მხოლოდ სანაპირო რაიონებში, რათა მტაცებლურად გაეზიდათ ჩინეთიდან ბუნებრივი სიმდიდრე, ჩინეთის სახალხო მთავრობა სატრანსპორტო ქსელს ავითარებს მთელი ჩინეთის საწარმოო ძალების გეგმაზომიერი განვითარებისათვის, ხალხის ინტერესებისათვის.

მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის განვითარების საფუძველზე წლითიწლობით უმჯობესდება ხალხის მატერიალური მდგომარეობა, იზრდება საქონელბრუნვა. სოციალისტური ვაჭრობის განვითარების მსვლელობაში ჩინეთში ჩამოყალიბდა გეგმიანი და ორგანიზებული ბაზარი. 1956 წელს 1952 წელთან შედარებით საქონელბრუნვის მოცულობა ჩინეთში გაიზრდება 66,3 პროცენტით, ხოლო ექსპორტი და იმპორტი გადიდდება 65 პროცენტით. კერძო სავაჭრო საწარმოები და საზოგადოებრივი კვების კერძო საწარმოები ორ მესამედზე მეტით გარდაქმნილია შერეულ სახელმწიფო-კერძო საწარმოებად, კოოპერაციულ მაღაზიებად ან კოოპერაციულ ჯგუფებად.

მაქსიმუმ ღონისძიებებს იღებენ კულტურული რევოლუციის განსახორციელებლად, მეცნიერების, განათლების, ხელოვნების ასაყვავებლად. ჩინეთის კომუნისტური პარტია მეცნიერთა შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის აღმავლობას, მეცნიერული აზროვნების განვითარებას წარმართავს სოციალისტური მშენებლობის საკეთილდღეოდ. ფართოვდება უმაღლესი, საშუალო, სპეციალური და დაწყებითი სკოლების ქსელი, იზრდება მათი მოსწავლეების რიცხვი. ჩინეთის უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში ამზადებენ ახალი სახალხო ინტელიგენციის არმიას, რომელსაც შეიძლება გადაჭრას სოციალისტური მშენებლობის გრანდიოზული ამოცანები.

სახალხო ჩინეთის წარმატებანი ჩინელი ხალხის თავდადებული შრომის, მისი კომუნისტური პარტიისა და მთავრობის სწორი პოლიტიკის შედეგია.

სოციალისტურ გარდაქმნათა წარმატებით განხორციელების შედეგად კიდევ უფრო განმტკიცდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, ერთიანი სახალხო-დემოკრატიული ფრონტი.

სოციალისტურ მშენებლობაში მიღწეულ წარმატებათა საფუძველზე ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობამ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1958-1962 წლების მეორე ხუთწლიან გეგმაში დასახა კიდევ უფრო დიდებული პერსპექტივები. მეორე ხუთწლიანი გეგმის მთავარი ამოცანებია მრეწველობის, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობის შემდგომი განვითარება, რათა შეიქმნას ჩინეთის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის მტკიცე ბაზა, სოციალისტური გარდაქმნების დამთავრება ჩინეთის ეკონომიკაში, კოლექტიური და საზოგადოებრივი საკუთრების განმტკიცება და გაფართოება, ჩინეთის თავდაცვითი ძალიერების გადიდება, ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება.

წინასწარი გამოანგარიშებით, მრეწველობის საერთო პროდუქცია სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების საერთო მოცულობაში 1962 წელს, ესე იგი მეორე ხუთწლედის დამლევისათვის, გაიზრდება დაახლოებით ერთიორად 1957 წელთან შედარებით, ამასთან უფრო სწრაფი ტემპით განვითარდება წარმოების საშუალებათა მწარმოებელი მრეწველობა.

სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია გაიზრდება 35 პროცენტით. მარცვლეულის საერთო მოსავალი 1962 წელს გათვალისწინებულია 250 მილიონი ტონის ოდენობით. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო მოცულობა 1962 წელს 1957 წელთან შედარებით გადიდდება 75 პროცენტით. მრეწველობაში კაპიტალდაბანდებათა ხვედრითი წონა იქნება 60 პროცენტი ნაცვლად 58,2 პროცენტისა პირველი ხუთწლიანი გეგმით.

ახალი ხუთწლედით გათვალისწინებულია მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლება. საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობა გადიდდება 50 პროცენტით, მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი გაიზრდება 25-30 პროცენტით, ასეთივე მოცულობით გაიზრდება გლეხთა შემოსავალი.

თავიანთი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებაში ჩინელ მეგობართა წარმატება მოასწავებს, რომ შორს აღარ არის ის დრო, როცა ჩინეთი გადაიქცევა მძლავრ სოციალისტურ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ დიდად განვითარებული თანამედროვე მრეწველობით, მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობით.

ამხანაგებო! ჩინელი ხალხის შესანიშნავმა მიღწევებმა სოციალიზმის მშენებლობაში, ჩინეთის მთავრობის შორსმჭვრეტელმა საგარეო პოლიტიკამ, რომლის საფუძველია თანმიმდევრული ბრძოლა მტკიცე მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობისათვის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას მოუხვეჭეს დიდი ავტორიტეტი და ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის ღრმა პატივისცემა.

სახალხო რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ჩინეთმა საერთაშორისო ურთიერთობაში ის ადგილი დაიკავა, რომელიც უნდა ეკავოს ამ დიდ სახელმწიფოს, რომელმაც მრავალი საუკუნის ვანძილზე ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში.

ისტორიულ მოვლენათა ასეთ მსვლელობას ითვალისწინებდა ვ. ი. ლენინი, რომელსაც უსაზღვროდ სწამდა, რომ დიდი ჩინელი ხალხი თვალსაჩინო როლს შეასრულებს კაცობრიობის ბედში, სოციალიზმისაკენ მის წინსვლაში. ახლა, როცა ალმოსავლეთმა გამოიღვიძა ახალი ცხოვრებისათვის, ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ, თუ რა დიდი მიმზიდველი ძალაა ხალხებისათვის, რომლებიც თავისუფლდებიან კოლონიური მონობისაგან, თავისუფალი ჩინეთი, რომელიც რთულ და თავისებურ პირობებში მტკიცე რწმენით აშენებს სოციალიზმს, შეუპოვრად იბრძვის მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის.

მშვიდობისმოყვარე ადამიანებმა კარგად იციან, თუ რა თვალსაჩინო როლი შეასრულა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ კორეაში ომის საფრთხის კერის ლიკვიდაციასა და ინდოჩინეთის რაიონში მშვიდობის აღდგენაში. სახალხო ჩინეთმა და ინდოეთის რესპუბლიკამ საერთაშორისო ურთიერთობის გაუმჯობესების საქმეში შეიტანეს მშვიდობიანი თანაარსებობის ცნობილი ხუთი პრინციპი, რომლებიც დიდად დაფასეს ხალხებმა და ახლა სულ უფრო ფართო აღიარებას პოულობენ საერთაშორისო ცხოვრებაში. მშვიდობისმოყვარე კაცობრიობამ ღირსეულად შეაფასა აგრეთვე ჩინეთის კონსტრუქციული როლი ბანდუნგის ისტორიულ კონფერენციაზე, მისი ღონისძიებანი აზიისა და ათრიკის სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების ქვეყნებს შორის ნდობისა და თანამშრომლობის გათართოების საქმეში. მთელ მშვიდობისმოყვარე კაცობრიობასთან ერთად ჩინელი ხალხი მხარს უჭერს ეგვიპტის მთავრობის სავსებით კანონიერ მოქმედებას, რომელმაც განახორციელა სუეცის არხის ნაციონალიზაცია. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა, ისევე როგორც ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყნის მთავრობები, გადაჭრით ილაშქრებს ეგვიპტეზე ზეგავლენის პროვოკაციული პოლიტიკის წინააღმდეგ, მოითხოვს სუეცის საკითხის მშვიდობიან გადაჭრას.

სახალხო ჩინეთი დიდი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოა. მისი მონაწილეობის მიუღებლად ჩვენს დროში შეუძლებელია წარმატებით გადაიჭრას რაიმე დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემა, მიუხედავად იმისა, დედამიწის რომელ ნაწილს ეხება იგი.

ამჟამად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას დიპლომატიური ურთიერთობა აქვს 29 სახელმწიფოსთან, ვაჭრობას ეწევა 60-ზე მეტ ქვეყანასთან. მისი საერთაშორისო კავშირები სულ უფრო ფართოვდება, საერთაშორისო ავტორიტეტი განუხრელად იზრდება, ხოლო მისი გავლენა საერთაშორისო მოვლენების განვითარებაზე მატულობს. ეს იმის შედეგია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ისევე როგორც ყველა ქვეყანა, რომელიც სოციალიზმის გზას დაადგა, ახორციელებს სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის, ჩვენს დროში საერთაშორისო ურთიერთობის ერთადერთი გონივრული საფუძვლის, პოლიტიკას.

ეჭვი არ არის, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებების აღდგენა საერთიანებული ერების ორგანიზაციაში ხელს შეუწყობს ამ დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციის უფრო ნაყოფიერ საქმიანობას.

საბჭოთა კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მოძმე ქვეყნები, თანამოაზრე ქვეყნები არიან. მეგობრობა ჩვენს ხალხებს შორის, ისევე როგორც სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ხალხებს შორის, ემყარება სრულ თანასწორუფლებიანობას, ეროვნული ინტერესების ურთიერთპატივისცემას, სასიცოცხლოდ დაინტერესებას იმით, რომ აყვავდეს თვითეული ნელი ხალხი მხარს უჭერს ეგვიპტის მთავრობის სავსებით კანონიერ მოქმედებას, რომელმაც განახორციელა სუეცის არხის ნაციონალიზაცია. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა, ისევე როგორც ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყნის მთავრობები, გადაჭრით ილაშქრებს ეგვიპტეზე ზეგავლენის პროვოკაციული პოლიტიკის წინააღმდეგ, მოითხოვს სუეცის საკითხის მშვიდობიან გადაჭრას.

სახალხო ჩინეთი დიდი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოა. მისი მონაწილეობის მიუღებლად ჩვენს დროში შეუძლებელია წარმატებით გადაიჭრას რაიმე დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემა, მიუხედავად იმისა, დედამიწის რომელ ნაწილს ეხება იგი.

ამჟამად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას დიპლომატიური ურთიერთობა აქვს 29 სახელმწიფოსთან, ვაჭრობას ეწევა 60-ზე მეტ ქვეყანასთან. მისი საერთაშორისო კავშირები სულ უფრო ფართოვდება, საერთაშორისო ავტორიტეტი განუხრელად იზრდება, ხოლო მისი გავლენა საერთაშორისო მოვლენების განვითარებაზე მატულობს. ეს იმის შედეგია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ისევე როგორც ყველა ქვეყანა, რომელიც სოციალიზმის გზას დაადგა, ახორციელებს სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის, ჩვენს დროში საერთაშორისო ურთიერთობის ერთადერთი გონივრული საფუძვლის, პოლიტიკას.

ეჭვი არ არის, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებების აღდგენა საერთიანებული ერების ორგანიზაციაში ხელს შეუწყობს ამ დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციის უფრო ნაყოფიერ საქმიანობას.

საბჭოთა კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მოძმე ქვეყნები, თანამოაზრე ქვეყნები არიან. მეგობრობა ჩვენს ხალხებს შორის, ისევე როგორც სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ხალხებს შორის, ემყარება სრულ თანასწორუფლებიანობას, ეროვნული ინტერესების ურთიერთპატივისცემას, სასიცოცხლოდ დაინტერესებას იმით, რომ აყვავდეს თვითეული ნელი ხალხი მხარს უჭერს ეგვიპტის მთავრობის სავსებით კანონიერ მოქმედებას, რომელმაც განახორციელა სუეცის არხის ნაციონალიზაცია. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა, ისევე როგორც ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყნის მთავრობები, გადაჭრით ილაშქრებს ეგვიპტეზე ზეგავლენის პროვოკაციული პოლიტიკის წინააღმდეგ, მოითხოვს სუეცის საკითხის მშვიდობიან გადაჭრას.

სახალხო ჩინეთი დიდი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოა. მისი მონაწილეობის მიუღებლად ჩვენს დროში შეუძლებელია წარმატებით გადაიჭრას რაიმე დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემა, მიუხედავად იმისა, დედამიწის რომელ ნაწილს ეხება იგი.

ამჟამად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას დიპლომატიური ურთიერთობა აქვს 29 სახელმწიფოსთან, ვაჭრობას ეწევა 60-ზე მეტ ქვეყანასთან. მისი საერთაშორისო კავშირები სულ უფრო ფართოვდება, საერთაშორისო ავტორიტეტი განუხრელად იზრდება, ხოლო მისი გავლენა საერთაშორისო მოვლენების განვითარებაზე მატულობს. ეს იმის შედეგია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ისევე როგორც ყველა ქვეყანა, რომელიც სოციალიზმის გზას დაადგა, ახორციელებს სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის, ჩვენს დროში საერთაშორისო ურთიერთობის ერთადერთი გონივრული საფუძვლის, პოლიტიკას.

ეჭვი არ არის, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებების აღდგენა საერთიანებული ერების ორგანიზაციაში ხელს შეუწყობს ამ დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციის უფრო ნაყოფიერ საქმიანობას.

საბჭოთა კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ყველა სოციალისტური ქვეყანა, მთელი დედამიწის ხალხები სასიცოცხლოდ არიან დაინტერესებული მშვიდობით. იმისათვის, რომ მშვიდობის საქმე განმტკიცდეს, ჩვენ ყოველი ღონისძიებით უნდა განვავითაროთ ჩვენი სოციალისტური ქვეყნების მეგობრობა, განვამტკიცოთ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკი, განვავითაროთ და განვამტკიცოთ ურთიერთობა ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანასთან.

ამხანაგებო! ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თვალსაჩინო წარმატებანი კიდევ და კიდევ ადასტურებენ მარქსისტულ-ლენინური დებულების სისწორეს იმის შესახებ, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ნამდვილი აყვავება იწყება მაშინ, როცა მშრომელი ხალხი საკუთარ ხელში იღებს ხელისუფლებას, როცა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა ხდება მუშათა კლასი კომუნისტური პარტიის მეთაურობით.

ჩინელი ხალხი დიდად აფასებს თავის კომუნისტურ პარტიას, მხურვალედ უყვარს იგი, მტკიცედ მიჰყვება მას, ენთუზიაზმით ასრულებს მის წინასწარდასახულობებს.

დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა მარადიული მეგობრობა! **(ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს დიდ ჩინელ ხალხს — საბჭოთა ხალხის შეგობარსა და ძმას! **(მჭუხარე ტაში).**

გაუმარჯოს ჩინეთის გმირ კომუნისტურ პარტიას — ჩინელი ხალხის ყველა გამარჯვების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს! **(ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს და აყვავდეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა! **(მჭუხარე ხანგრძლივი ტაში).**

• • •

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა ამხ. ჩენ ჩუმ.

ეროვნული

საბჭოთა კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ყველა სოციალისტური ქვეყანა, მთელი დედამიწის ხალხები სასიცოცხლოდ არიან დაინტერესებული მშვიდობით. იმისათვის, რომ მშვიდობის საქმე განმტკიცდეს, ჩვენ ყოველი ღონისძიებით უნდა განვავითაროთ ჩვენი სოციალისტური ქვეყნების მეგობრობა, განვამტკიცოთ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკი, განვავითაროთ და განვამტკიცოთ ურთიერთობა ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანასთან.

ამხანაგებო! ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თვალსაჩინო წარმატებანი კიდევ და კიდევ ადასტურებენ მარქსისტულ-ლენინური დებულების სისწორეს იმის შესახებ, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ნამდვილი აყვავება იწყება მაშინ, როცა მშრომელი ხალხი საკუთარ ხელში იღებს ხელისუფლებას, როცა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა ხდება მუშათა კლასი კომუნისტური პარტიის მეთაურობით.

ჩინელი ხალხი დიდად აფასებს თავის კომუნისტურ პარტიას, მხურვალედ უყვარს იგი, მტკიცედ მიჰყვება მას, ენთუზიაზმით ასრულებს მის წინასწარდასახულობებს.

დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა მარადიული მეგობრობა! **(ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს დიდ ჩინელ ხალხს — საბჭოთა ხალხის შეგობარსა და ძმას! **(მჭუხარე ტაში).**

გაუმარჯოს ჩინეთის გმირ კომუნისტურ პარტიას — ჩინელი ხალხის ყველა გამარჯვების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს! **(ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს და აყვავდეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა! **(მჭუხარე ხანგრძლივი ტაში).**

• • •

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა ამხ. ჩენ ჩუმ.

ამხ. ჩენ ჩუს სიტყვა

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა სსრ კავშირში ამხ. ჩენ ჩუმ მადლობა გადაუხადა სხდომის დამსწრეთ იმისათვის, რომ ისინი ჩინელ ხალხთან ერთად აღნიშნავენ ამ დღესასწაულს. **(ტაში).**

შვიდი წლის წინათ, თქვა ამხ. ჩენ ჩუმ, ჩინელმა ხალხმა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხო იმპერიალიზმის, ფეოდალიზმისა და ბიუროკრატიული კაპიტალიზმის რეაქციული ბატონობა და შექმნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. მან მაშინვე მთელი თავისი ძალები წარმართა ჩინეთში სოციალისტური გარდაქმნის განსახორციელებლად.

ამხანაგებო და მეგობრებო! განვლილ შვიდ წელიწადში, ჩინელი ხალხის ერთიანობისა და ღონისძიებების, დიდი საბჭოთა კავშირისა და სხვა მოძმე ქვეყნების უანგარო დახმარების, მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ქვეყნებისა და ხალხების სიმპათიისა და მხარდაჭერის მეოხებით, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე უდიდესი ცვლილებები მოხდა. ის, რაზეც ოცნებობდნენ და რაც სურდათ ძველ ჩინეთში, ახლა აღსრულდა, რეალობა გახდა.

ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებამდე ჩინეთი უშვებდა მხოლოდ რამდენიმე ასეული ათას ტონა ფოლადს წელიწადში. ახლა კი ზედიზედ შენდება დიდი მეტალურგიული კომბინატები. ჩინეთის განთავისუფლებამდე მანქანათმშენებელ მრეწველობას შეეძლო გამოეშვა მხოლოდ რამდენიმე უბრალო მანქანა, ახლა კი ჩვენი სამამულო წარმოების მანქანები და ჩარხები სულ უფრო დიდ როლს ასრულებენ ჩვენი ქვეყნის მშენებლობაში. ჩვენი ქარხნები უშვებენ ავტომობილებსა და რეაქტიულ თვითმფრინავებს.

დიდი წარმატებით გვირგვინდება სოციალისტური გარდაქმნები სოფლის მეურნეობაში. ამჟამად ჩინეთის გლეხთა კომლების 91,7 პროცენტი შევიდა სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივებში.

მნიშვნელოვნად განვითარდა აგრეთვე კულტურა და განათლება. უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა რიცხვი გაიზარდა ერთისამად და მეტად, ხოლო საშუალო სკოლების მოსწავლეთა რიცხვი — დაახლოებით ერთიხუთად.

წარმოების განვითარებითა და შრომის ნაყოფიერების სულ უფრო გადიდებით თანდათან უმჯობესდება ხალხის მატერიალური კეთილდღეობა. 1956 წელს მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი 1952 წელთან შედარებით გაიზარდა 33 პროცენტით. ერთი სიტყვით, ამჟამად ჩვენი ხალხი, ძაბავს რა მთელ თავის ძალღონეს, დიდი ნაბიჯებით მიდის დიდი მიზნისაკენ — ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისაკენ.

ხაზგასმით აღნიშნა რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმისათვის, ორატორმა შემდეგ ილაპარაკა ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობაზე, რომელმაც მუშაობა დაამთავრა. ყრილობამ, აღნიშნა მან, განაზოგადა ჩინელი ხალხის რევოლუციური ბრძოლის ძლევამოსილი გამოცდილება, გააშუქა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის თეორია და პრაქტიკა, დასახა პარტიული ცხოვრებისა და პარტიული მშენებლობის დიდმნიშვნელოვანი დებულებანი.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის VII ყრილობის შემდეგ, რომელიც 11 წლის წინათ გაიმართა, ჩინეთში საბოლოოდ დამთავრდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია და გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა სოციალისტურმა რევოლუციამ. ამჟამად ჩვენი ხალხი წარმატებით ახორციელებს სახალხო მეურნეობის განვითარების პირველ ხუთწლედს და ყოველ ღონეს ხმარობს, რათა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულოს ეს გეგმა.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობამ, განაგრძო ამხ. ჩენ ჩუმ, აღნიშნა რა ეს მიღწევები, ამავე დროს მიგვითითა, რომ შემდგომი მშენებლობის საქმეში ჩინეთის წინაშე დასახულია განსაკუთრებით ძნელი ამოცანები, რომ ჩვენს მუშაობაში არის მთელი რიგი ნაკლოვანებანი. შემდგომი წინსვლისათვის ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა

კომუნისტებო და უპარტიო აქტივისტებო, დაეუფლეთ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას!

ავამაღლოთ კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონე

აფხაზეთის პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ ჩვენი პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებით და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებებით, გასულ სასწავლო წელს პარტიული განათლების სისტემაში გასწიეს გარკვეული მუშაობა იმ მხრივ, რომ გაეუმჯობესებინათ კომუნისტების პოლიტიკური სწავლების, მთელი პროპაგანდისტული მუშაობის დაყენება.

მტკიცედ ვიცავდით რა კომუნისტთა პოლიტიკური სწავლების ფორმების შერჩევაში ნებაყოფლობის პრინციპს, ვითვალისწინებდით რა წინა წლების მეცდომებსა და ნაკლოვანებებს, გასულ სასწავლო წელს უკეთ დავაკომპლექტეთ პარტიული განათლების მთელი ქსელი. მიმდინარე წლის თებერვლის ბოლოდან პარტიული განათლების ყველა ფორმაში მოეწყო სკკპ XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებისა და მასალების შესწავლა. სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების შესწავლაზე გადასვლასთან დაკავშირებით კომუნისტების სურვილის მიხედვით დამატებით შეიქმნა 38 თეორიული სემინარი და 26 წრე. ამ სემინარებსა და წრეებში ჩაებნენ კომუნისტები, კომკავშირელები და უპარტიო აქტივისტები, რომლებიც წინათ დამოუკიდებლად მუშაობდნენ თავის თავზე.

კომუნისტების პოლიტიკური სწავლება ცუდად როდი იყო დაყენებული ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჯგერდის წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში. სწავლობდნენ რა ყრილობის მასალებს, მსმენელები ანალიზს უკეთებდნენ იმას, თუ რა მდგომარეობა იყო კოლმეურნეობაში, ცალკეულ ბრიგადებში, ამყოვანებდნენ იმ შესაძლებლობებს, რომლებიც არსებობდა თამბაქოს, სიმინდისა და სხვა კულტურების უფრო მაღალი მოსავლის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების მისაღწევად. კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული წრეებისა და პოლიტსკოლების მეცადინეობა გუდაუთის, გალის, გაგრის რაიონების პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში.

უკანასკნელ დროს კომუნისტები უფრო მეტ ინტერესს იჩენენ მრეველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შესწავლისადმი. მაგალითად, ტყვარჩელის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში ეკონომიურ სწავლებაში გასულ სასწავლო წელს ჩაბმული იყო 320 კაცი.

კადრების ეკონომიური განათლების, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მოწინავე გამოცდილების, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვის მიზნით კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი სემინარების მსმენელთა ინიციატივით გასულ სასწავლო წელს ქალაქ ტყვარჩელსა და ოჩამჩირის რაიონში მოეწყო ეკონომიური კონფერენციები, რომლებზეც განხილულ იქნა საწარმოების, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის აქტუალური საკითხები. ტყვარჩელში მოწყობილი ეკონომიური კონფერენცია მიეძღვნა საკითხს „სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულება და მისი შემცირების გზები“. სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს კონკრეტული ეკონომიკის სემინარების დაახლოებით 200 მსმენელმა, საწარმოების ხელმძღვანელებმა, მგეგმავებმა, საანგარიშო დარგის მუშაკებმა და პროფკავშირულმა აქტივისტებმა.

'მაგრამ მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში, განსაკუთრებით სასოფლო ადგილებში, გასულ წელს არადამაკმაყოფილებლად იყო დაყენებული კომუნისტების ეკონომიური განათლება. ეკონომიური ცოდნის პროპაგანდაში ძალიან სუსტად იყვნენ ჩაბმული სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალისტები და ნოვატორები.

პარტიულ განათლებას, ისევე როგორც მთელ იდეოლოგიურ მუშაობას, დიდი ზიანი მიაყენა პიროვნების კულტმა, რომელიც ამცირებდა ისტორიაში პარტიის ხელმძღვანელ როლს, ხალხის მასების გადამწყვეტ როლს, ბოჭავდა მათს შემოქმედებითს აქტივობას. არასაკმაო ყურადღება ექცეოდა ლენინის დიადი თეორიული მემკვიდრეობის შესწავლას.

პიროვნების კულტმა განსაკუთრებით მახინჯი სახე მიიღო საქართველოს სს რესპუბლიკაში, აფხაზეთის სს რესპუბლიკაში. ხალხის მტერი ბერია და მისი დამქაშები პიროვნების კულტის დანერგვით ცდილობდნენ დაეკანონებინათ ადმინისტრირება და თვითნებობა, ზიანი მიეყენებინათ პარტიის ეროვნული პოლიტიკისათვის. სამწუხაროდ, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა და სოხუმის საქალაქო კომიტეტმა დროზე ვერ გააჩაღეს ბრძოლა პიროვნების კულტის ანტიმარქსისტული არსის წინააღმდეგ, ბერიევშჩინის შედეგების სწრაფად აღმოფხვრისათვის, ვერ მიიღეს ზომები იმისათვის, რომ კომუნისტებისა და მშრომელთა ფართო მასებისათვის ღრმად განემარტათ სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებები. მთელი მუშაობა ამოიწურებოდა ზერელე სტატიებითა და ლექციებით, რომლებიც აგებული იყო განყენებულ ფაქტებზე და მაგალითებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული პროპაგანდისტები და ლექტორები ჯერ კიდევ დამაჯერებლად ვერ განუმარტავენ მშრომელებს პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებსა და მასალებს, სუსტად ეწევიან პროპაგანდას პიროვნების კულტის ანტიმარქსისტული არსის წინააღმდეგ.

„პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის შედეგებისა და ახალ სასწავლო წელს პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმმა განიხილა პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხი. ამ საკითხზე ჩატარდა აგრეთვე პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პლენუმები. პლენუმებზე ანალიზი გაუკეთდა საქმის მდგომარეობას პარტიული განათლების სისტემაში და დაისახა ღონისძიებები კომუნისტების პოლიტიკური სწავლების მკვეთრად გაუმჯობესებისათვის. გარკვეულია სასწავლო წლის დაწყებისა და დამთავრების ვადები აფხაზეთის რაიონების თავისებურებათა გათვალისწინებით. კერძოდ, დადგენილია, რომ აფხაზეთის ქალაქებში სასწავლო წელი დაიწყოს 1 ოქტომბრიდან, ხოლო რაც შეეხება სოფლებს, თვითეულ რაიკომს უფლება მიეცა თავისი შეხედულებისამებრ, რაიონში საქმის ვითარების მიხედვით გაარკვიოს როდის დაიწყოს სასწავლო წელი — პირველ თუ თხუთმეტ ოქტომბერს და ამის შესაბამისად დაამთავროს სწავლა პირველ ან თხუთმეტ ივნისს. ასეთი მიდგომა საშუალებას მოგვცემს უკეთ მოვემზადოთ და უფრო ორგანიზებულად დავიწყოთ ახალი სასწავლო წელი.

აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციები წელს დიდ ყურადღებას აქცევენ კადრების ეკონომიურ განათლებას, იმას, რომ ეკონომიური კონფერენციების მოწყობაში ფართოდ დაინერგოს ტყვარჩელისა და ოჩამჩირის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის დადებითი გამოცდილება. პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან არსებული საღამოს პარტიული სკოლები გადაკეთებულია ორწლიან ეკონომიურ სკოლებად. 10 სექტემბრიდან მეცადინეობას შეუდგა პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის ბიბლიოთეკა გადაკეთებულია პოლიტიკური განათლების სახლად, ხოლო ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის, რაიკომებისა და საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების ბიბლიოთეკები — პოლიტიკური განათლების კაბინეტებად.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტთან არსებული პოლიტიკური განათლების სახლში

უოველთვის ბევრი ხალხია პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტთან არსებული პოლიტიკური განათლების სახლის სამკითხველო დარბაზსა და კაბინეტებში. კომუნისტები და უპარტიო აქტივისტები აქ იღებენ მაღალკვალიფიციურ კონსულტაციებს, ისმენენ ლექციებსა და მოხსენებებს, ეცნობიან კაბინეტებში წარმოდგენილ მასალებს, რომლებიც მოგვითხრობენ მრეწველობისა და ტრანსპორტის, სოციალისტური სოფლის მეურნეობის, საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის დონის შემდგომი აღმავლობის შესახებ.

ბევრ საინტერესო ღონისძიებას განახორციელებს პოლიტიკური განათლების სახლი ახალ სასწავლო წელს პარტიული განათლების ქსელში კომუნისტთა და პროპაგანდისტთა დასახმარებლად. რეგულარულად გაიმართება პროპაგანდისტთა სემინარები, მოეწყობა გამსვლელი კონსულტაციები საწარმო-დაწესებულებებში, ქალაქის მშრომელებს ლექციებს წაუკითხავენ მაღალკვალიფიციური ლექტორები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, სსრ კავშირის საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკითხებზე.

წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებისათვის სისტემატურად მოეწყობა ინდივიდუალური კონსულტაციები. მათ დიდ დახმარებას გაუწევს აგრეთვე კაბინეტებში წარმოდგენილი დიაგრამები, ფოტოალბომები და სხვა მასალები.

• • •

სურათზე: პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტთან არსებული პოლიტიკური განათლების სახლში ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დ. მშვენიერაძე ატარებს ლექციას კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი წრეებისა და სემინარების პროპაგანდისტებთან თემაზე „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა მეექვსე ხუთწლედში სოციალისტური მრეწველობის შემდგომი განვითარების ამოცანების შესახებ“.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლისათვის

სკკპ XX ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მასების პოლიტიკური შეგნებულობის შემდგომი ამაღლების, იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს. ასრულებს რა ყრილობის გადაწყვეტილებებს, თბილისის ავტომშემკეთებელი ქარხნის პარტიული ორგანიზაცია სისტემატურ მუშაობას ეწევა კომუნისტების პოლიტიკური აღზრდისათვის, პროპაგანდისტული მუშაობის ახლებურად დაყენებისათვის.

პროპაგანდისტული მუშაობის პრაქტიკულ ამოცანებთან დაკავშირებამ, სემინარსა და წრეებში მეცადინეობის მაღალ დონეზე მოწყობამ კომუნისტებსა და უპარტიო აქტივისტებს ხელი შეუწყო შემოქმედებითი ინიციატივის გაშლაში, მათ წინაშე დასახული საწარმოო ამოცანების სწორად გააზრებასა და გადაჭრაში.

განსაკუთრებით დიდი იყო კომუნისტების ინტერესი კონკრეტული ეკონომიკის შესწავლისადმი. მაღალი თეორიული ცოდნა, რომელიც განმტკიცებული იყო პრაქტიკული გამოცდილებით, კომუნისტებს დაეხმარა საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებასა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში. კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი სემინარის ხელმძღვანელად მუშაობს საქმის მცოდნე და თეორიულად მომზადებული კომუნისტი ინჟინერი გ. პაპავა. გასულ სასწავლო წელს იგი კეთილსინდისიერად მოეკიდა დავალების შესრულებას, მსმენელებს ღრმად და შინაარსიანად განუმარტავდა შესასწავლ თემებს, კონკრეტული მაგალითებითა და თვალსაჩინოების გამოყენებით უადილებდა მათ გადაცემული მასალის შემოქმედებითად შეთვისებას.

კონკრეტული ეკონომიკის საკითხების შესწავლით კომუნისტებმა მიაღწიეს შრომის ორგანიზაციის ძირეულ გაუმჯობესებას, წარმოებაში მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვას. მაგალითად, ქარხანაში დაინერგა კიეველ ავტომშემკეთებელთა ნოვატორული მეთოდი — ამწყობ კონვეიერზე საგუშაგოების განაწილების წესი. ამან დიდად შეუწყო ხელი შრომის ნაყოფიერების შემდგომ გადიდებას და გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებას.

ამასთან ერთად კომუნისტთა პოლიტიკური განათლების საქმეში პარტიულ ორგანიზაციას ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული ნაკლი აქვს. შარშან ზოგიერთი პროპაგანდისტი, კერძოდ კი თ. ქადაგიშვილი ფორმალურად ეკიდებოდა მინდობილ საქმეს. შესასწავლ თემებს იგი სუსტად აკავშირებდა წარმოების წინაშე მდგომ ამოცანებთან, ამიტომ მეცადინეობა უხალისო და ინტერესს მოკლებული იყო.

პროპაგანდისტული მუშაობის ერთ-ერთი ნაკლი იყო ისიც, რომ პარტიულმა ორგანიზაციამ ვერ შეძლო დოგმატიზმისა და მედავითნეობის ელემენტების ბოლომდე აღმოფხვრა. ზოგიერთი კომუნისტი წლების მანძილზე ერთსა და იმავე წრეში ითვლებოდა და ერთსა და იმავე თემებს „სწავლობდა“. ეს, რა თქმა უნდა, ხელს არ უწყობდა ამ ამხანაგების იდეურ ზრდას.

ვემზადებოდით რა პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის, პარტბიუროომ გაითვალისწინა და მიიღო ზომები იმისათვის, რომ შარშანდელი ნაკლოვანებანი აღარ გამეორდეს.

კომუნისტების სურვილის შესაბამისად წელს ჩვენთან პირველად დაიწყებს მუშაობას მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრე. გარდა ამისა, კომუნისტები და უპარტიო აქტივისტები თავიანთ თეორიულ ცოდნას აიმაღლებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიისა და პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელ ხუთ წრეში. დიდია ინტერესი კონკრეტული ეკონომიკის შესწავლისადმი. ამას მოწმობს კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელ სემინარში მეცადინეობის მსურველთა დიდი რაოდენობა.

პარტიულმა ორგანიზაციამ ყველა პირობა შექმნა წრეებისა და სემინარის ნორმალური მუშაობისათვის. პროპაგანდისტებად შერჩეული არიან მოწინავე, საქმის მცოდნე და გამოცდილი ამხანაგები უშუალოდ წარმოებიდან. ამას გარდა შერჩეული გვყავს პროპაგანდისტთა რეზერვიც. შეძენილი გვაქვს მეცადინეობისათვის საჭირო ლიტერატურა, თვალსაჩინოების მასალები, დიაგრამები, სქემები, ფოტოალბომები.

უნდა აღინიშნოს, რომ პარტიის ლენინის რაიკომი გასულ სასწავლო წელს ნაკლებად ზრუნავდა პროპაგანდისტთა კადრების თეორიული დონის ამაღლებისათვის, განსაკუთრებით მათი ეკონომიური ცოდნით შეიარაღებისათვის. აუცილებელია წელს უფრო მეტი ყურადღება მიექცეს პროპაგანდისტთა თეორიულ მომზადებას, განსაკუთრებით ეკონომიურ დარგში.

უზრუნველვყოთ მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმა, შემოქმედებითი შესწავლა წრეებში, სემინარებში და თვითგანათლების გზით, მჭიდროდ დავუკავშიროთ პროპაგანდისტული მუშაობა პრაქტიკულ ამოცანებს — ასეთია ამჟამად ჩვენი პარტიული ორგანიზაციის გადაუდებელი ამოცანა.

ლ. ნიკურაძე,

თბილისის ავტომშემკეთებელი ქარხნის პირველადი პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანი.

პარტიული სწავლება—ახალი ამოცანების დონეზე

კომუნისტების, კადრების მარქსისტულ-ლენინური აღზრდა ჩვენი პარტიის განსაკუთრებული ზრუნვის საგანს წარმოადგენს. პარტიის წევრებისა და კანდიდატების იდეური დონის განუწყვეტლივ ზრდა ცხოვრების ყველა დარგში მათი ავანგარდული როლის ამაღლების გადამწყვეტი პირობაა. პარტიული განათლების სისტემაში გასული სასწავლო წლის შედეგები მოწმობენ, რომ პარტიის აბაშის რაიკომი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები, ასრულებდნენ რა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, აქტიურად შეუდგნენ პროპაგანდისტული მუშაობის გარდაქმნას, მის დახლოებას ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებთან. გაძლიერდა ბრძოლა კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობის დონის ამაღლებისათვის. სერიოზული მუშაობა იქნა გაწეული პარტიის XX ყრილობის მასალების შესასწავლად.

მაგრამ ის, რაც გაკეთდა პარტიული პროპაგანდის გარდაქმნის მიზნით, სრულიადაც არ არის საკმარისი. ბევრ პირველად პარტიულ ორგანიზაციაში კომუნისტებს პოლიტიკური განათლებისადმი ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება. პროპაგანდისტული მუშაობა გასულ სასწავლო წელს მეტწილად კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკული ამოცანებისაგან მოწყვეტით წარმოებდა. იდეოლოგიურ მუშაობაში აღმოფხვრილი არ იყო პიროვნების კულტის მავნე შედეგების გავლენა და სხვ.

პარტიის რაიკომი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები გულმოდგინედ მოემზადნენ ახალი სასწავლო წლისათვის. პირველი ოქტომბრიდან პარტიული განათლების მთელ ქსელში დაიწყება მეცადინეობა. კომუნისტების პოლიტიკური სწავლების წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოეწყობა პარტიული განათლების ქსელის დაკომპლექტება. ამ საქმეში მთავარია ინდივიდუალური მიდგომა, კომუნისტების სურვილებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინება. რაიკომის ხელმძღვანელი მუშაკები და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები ჯერ კიდევ შემაჯამებელი მეცადინეობის დროს ესაუბრნენ კომუნისტებს, გამოარკვიეს მათი სურვილი და პოლიტიკური მომზადების დონე. ამ მასალების საფუძველზე რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა დაიწყეს პარტიული განათლების ქსელის დაკომპლექტება. ამას წინათ რაიკომმა მოიწვია პარტორგანიზაციების მდივნების თათბირი, რომელიც ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას მიეძღვნა. ამას გარდა ადგილებზე დაგეგმავნეთ რაიკომის წევრები პოლიტსკოლებისა და წრეების დაკომპლექტების სისწორის შესამოწმებლად, რომ თავიდან ავიცილოთ ამ საქმეში გასული სასწავლო წელს დაშვებული შეცდომების გამეორება.

დღეისათვის რაიონის ყველა პირველად პარტიულ ორგანიზაციაში დამთავრებულია პარტიული განათლების ქსელის დაკომპლექტება. ახალი სასწავლო წლისათვის მზადებამ ცხადყო, რომ უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩვენი კადრების ინტერესი მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომიისა და კონკრეტული ეკონომიკის შესწავლისადმი. კომუნისტების მოთხოვნილებათა გათვალისწინებით ახალ სასწავლო წელს რაიონში იმუშავებს პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი 3 წრე და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შემსწავლელი 2 სემინარი.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის, განსაკუთრებით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგი პერიოდის შესწავლას. კომუნისტების სურვილისა და მოთხოვნილებების შესაბამისად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის შემსწავლელ 22 წრეში თეორიული მომზადების დონეს ამაღლებს 420 კომუნისტი. მთლიანად რაიონში იმუშავებს 45 პოლიტსკოლა, წრე და სემინარი.

გასულ სასწავლო წელს კომუნისტების მნიშვნელოვანმა ნაწილმა პოლიტიკური განათლების ფორმად წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობა აირჩია, მაგრამ პარტიული ორგანიზაციების მხრივ „ჩაურევლობისა“ და უკონტროლობის შედეგად ბევრ მათგანს თითქმის არაფერი გაუკეთებია თავისი იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის. ეს ნაკლოვანებანი რომ არ გამეორდეს, წელს დამოუკიდებლად მომუშავეებისადმი დახმარების გაძლიერებასთან ერთად დიდ ყურადღებას მივაქცევთ პარტიული განათლების სისტემისადმი კონტროლის განხორციელებას.

პროპაგანდისტულ მუშაობაში მთავარია მისი შინაარსი, იდეური დონე, განუყრელი კავშირი ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან. ყოველივე ეს კი დამოკიდებულია პროპაგანდისტთა კადრებზე, მათი მომზადების დონეზე, მათს დახელოვნებაზე, უნარზე და მონდომებაზე. პარტიის აბაშის რაიკომმა ზოგხელის პერიოდი პროპაგანდისტთა შერჩევისა და მომზადებისათვის გამოიყენა. პროპაგანდისტთა შერჩევისას გავითვალისწინეთ მათი თეორიული, მომზადება და პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილება. რაიკომის მიერ რაიონის პარტიული აქტივიდან შეგარჩია თეორიულად უფრო მომზადებული 45 ამხანაგი და პოლიტსკოლებისა და წრეების პროპაგანდისტებად დამტკიცა ისინი. მათს უმრავლესობას მიღებული აქვს უმაღლესი განათლება და 3-10 წელია პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევა.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი სასწავლო წლისათვის სუსტად მოემზადნენ რაისაბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილების, რკინიგზის სალიანდაგო დისტანციის სკოსტატის და სოფელ პირველი მაისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომლებსაც დღემდე არ შეუკრებიათ კომუნისტები და არ გამოურკვევიათ, თუ ვის პარტიული განათლების რომელ ფორმაში სურს მიეცადინოს. სოფელ ნაფსაკოვოს კაგანოვიჩის სახელობის, ონტიოფს სტალინის სახელობის და ზანათის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობათა პარტიულ ორგანიზაციებს არცერთი უპარტიო აქტივისტი არ ჩაუბმია პარტიულ სწავლებაში.

გასულ სასწავლო წელს ბევრი კონსულტანტი ფორმალურად იყო გამოყოფილი. მთელი სასწავლო წლის განმავლობაში მათ თითქმის არაფერი არ გაუკეთებიათ. ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად წელს ჩვენ შევცვალეთ კონსულტანტთა მუშაობის წესი, კონსულტანტები აღარ გამოვყავთ ცალკეული პარტიული ორგანიზაციების მიხედვით, არამედ იმ პირველად პარტიულ ორგანიზაციებთან, სადაც წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე კომუნისტების რიცხვი დიდია, შევკრებენთ საკონსულტაციო პუნქტები, ხოლო პოლიტიკური განათლების კაბინეტში შემოვიღეთ კონსულტანტთა ყოველდღიური მორიგეობა.

რაიონული პარტიული აქტივის კრებაზე ამას წინათ კომუნისტებმა სამართლიანად გააკრიტიკეს რაიკომი, აღნიშნეს, რომ ზოგჯერ იკითხება ლექციები პარტიის ისტორიის საკითხებზე მათ დასახელეს სოფელ პირველი მაისის ლენინის სახელობის, ზანათის ვოროშილოვის სახელობის და კეთილარის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციები, რომლებშიც არცერთი ლექცია არ წაკითხულა პარტიის ისტორიის საკითხებზე. კომუნისტებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელი მუშაკები იშვიათად გამოდიან მოხსენებებით პარტიულ მასების, რაიონის მშრომელების წინაშე. ეს შენიშვნები უნდა გავითვალისწინოთ მომავალ მუშაობაში, სწრაფად გამოვასწოროთ გამოაშკარავებული ნაკლოვანებანი.

რაიონის პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანაა ორგანიზებულად, მაღალ იდეურ დონეზე წარმართონ კომუნისტებისა და უპარტიო აქტივისტების პოლიტიკური სწავლება.

მ. ბოკერია,

საქართველოს კპ აბაშის რაიკომის პირველი მდივანი.

ახალი სასწავლო წლის წინ

ხულო. (საკ. კორ.). პარტიის რაიონულმა კომიტეტმა, პირველადმა პარტორგანიზაციებმა ძირითადად დაამთავრეს მზადება ახალი სასწავლო წლისათვის პარტიული განათლების სისტემაში. წელს რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში იმუშავებს 20 პოლიტსკოლა, მიმდინარე პოლიტიკის 10 წრე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის შემსწავლელი 4 წრე.

ოთხ პირველადს პარტიულ ორგანიზაციასთან შეიქმნა სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შემსწავლელი წრეები. პარტიის რაიკომთან პარტიული და საბჭოთა აქტივისათვის პირველად ეწყობა ორწლიანი ეკონომიური სკოლა. გარდა ამისა, კოლმეურნეობების თავმჯდომარეებისა და საკოლმეურნეო აქტივისათვის ხულოსა და დიოკნისის სასოფლო საბჭოებში შეიქმნა ზონალური სემინარები, რომლებშიც სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საკითხებს შეისწავლიან.

წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთათვის რაიონში იმუშავებს 12 თეორიული სემინარი კონკრეტული ეკონომიკისა და მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შესასწავლად. პარტიის რაიკომთან არსებული პოლიტიკური განათლების კაბინეტში პარტიის აპარის საოლქო კომიტეტი მოაწყობს ლექციების ციკლს სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საკითხებზე.

ამ დღეებში პარტიის რაიონული კომიტეტის პლენუმმა განიხილა საკითხი პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მდგომარეობის შესახებ და მიიღო სათანადო დადგენილება. გაიმართა პროპაგანდისტთა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირი-სემინარი პარტიული და კომკავშირული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყების საკითხებზე.

საერთო დემოკრატიის ქვეყნების ერთიანი მოძრაობისთვის

პოლონეთი ესპერანტოს სამშობლოა

ПОЛЬША

საერთაშორისო ანუ როგორც წინათ ამბობდნენ, მსოფლიო ენის შექმნის ცდა, შეიძლება ითქვას, ეკუთვნის ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეს, როდესაც ფილოსოფოსმა და მეცნიერული მედიცინის ფუძემდებელმა ჰალენ კლავდიუსმა შექმნა სხვადასხვა ცნებების აღნიშვნის სისტემა.

XII საუკუნეში, ორდენთა ომების ხანაში, რუპერტსბერგის დედათა მონასტრის წინამძღვარმა ჰილდეგარდისმა სცადა შეექმნა საყოველთაო ენა, როგორც ეს სცადეს მანამდე 800 წლის წინათ.

საერთაშორისო ენის საკითხზე მუშაობდნენ წარსულ საუკუნეთა ყველაზე გამოჩენილი ფილოსოფოსები, კერძოდ, მიშელ ნოტრ-დამი, დეკარტი, ლაიბნიცი, იან ამოს კომენსკი, ვოლტერი და სხვები. მათ შორის იყო აგრეთვე ფილოსოფოსი იმანუელ კანტი, რომელიც დამსმარე ენის იდეას აერთებდა ხალხთა მსოფლიო განიარაღების იდეასთან.

XIX საუკუნეში საერთაშორისო ენის შექმნის იდეას სულ უფრო მეტი მომხრე გამოუჩნდა. კარლ მარქსი აჩატაცებდა, რომ ადამიანები ოდესმე მიაღწევენ იმას, რომ სრული კონტროლი გაუწიონ კაცობრიობის პროდუქტის — ენის განვითარებასა და გამოყენებას. ისტორიამ იცის საერთაშორისო ენის შექმნის 800-ზე მეტი პროექტი და ცდა. საინტერესო ის იყო, რომ სცადეს გამოიყენებინათ მუსიკის ნოტები, ხელმძღვანელობდნენ რა იმ პრინციპით, რომ მუსიკალური ელემენტები არსებითად საერთაშორისო ელემენტებია. მაგრამ რომ დაუფლებოდი ამ ენას, რომელსაც „სოლრესოლი“ უწოდეს, უნდა გქონოდა მუსიკალური სმენა და... ყღერადი ხმა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ითან მარტინ შლაიერმა, რომელმაც 41 ენა იცოდა, შექმნა ენა, რასაც მან უწოდა ვოლაპიუკი (ინგლისური world მსოფლიო +speech მეტყველება — მსოფლიოს ენა). ეს იყო საერთაშორისო ენის შექმნაში ერთგვარი წარმატებითი ცდა. ამ ენას ბევრი მომხრე გამოუჩნდა, თუმცა საკმაოდ ძნელი იყო, ვინაიდან ავტორმა შეცვალა თვით ისეთი უალრესად საერთაშორისო სიტყვები, როგორც, მაგალითად, ვაგონი, ბანკი. ვოლაპიუკით ლაპარაკისას ერთმანეთის გაგება ისე ძნელი იყო, რომ თვით მისი ავტორი იძულებული იყო ლექსიკონისათვის მიემართა ლაპარაკის დროს.

ვოლაპიუქმა მარცხი განიცადა. ისეთი შთაბეჭდილება იყო, რომ სრულიად დამარცხდა საერთაშორისო ენის შექმნის თვით იდეა. და აი 1887 წელს ვარშავაში გამოქვეყნდა ბროშურა „საერთაშორისო ენა“, რომელიც ცენზურული მიზეზით ჯერ გამოვიდა რუსულ, ხოლო შემდეგ პოლონურ ენაზე. მისი ავტორი იყო დოქტორი ესპერანტო.

ეს იყო გარდატეხის მომენტი საერთაშორისო ენის ისტორიაში.

საერთაშორისო ენა არ შეიძლება იყოს ეროვნული ენა; ეს უნდა იყოს მისაწვდომი და მსუბუქი ენა, რომლითაც შეიძლება გაეგო ერთმანეთს ზეპირადაც და წერილობითაც, გამოხატო ადამიანის ყველა აზრი და გრძნობა.

ყველა ამ მოთხოვნას უპასუხებდა დოქტორ ესპერანტოს ენა. ამ ფსევდონიმს, რაც ახალ ენაზე ნიშნავდა „დაიმედებულს“, ეფარებოდა ლიუდოვიკ ზამენგოფი, რომელიც დაიბადა 1859 წლის 15 დეკემბერს ბელოსტოკში.

ესპერანტოს (ბოლოს ასე ეწოდა ამ ენას) გრამატიკა მეტად მარტივი და მსუბუქია. მას აქვს სულ 16 წესი და არავითარ გამონაკლისს არ შეიცავს. ყველა საერთაშორისო სიტყვა ესპერანტოს შემადგენლობაში უცვლელად შევიდა და მხოლოდ ამ ენის დამახასიათებელი დაბოლოება მიეცა (მაგალითად, არსებითი სახელისათვის—ო, ზედსართავისათვის—ა).

ამრიგად, ზამენგოფმა გენიალური ინტუიციით შექმნა „ხელოვნური“ ენა, რომელიც ამავე დროს ექვემდებარება ყველა ბუნებრივი ენის განვითარების კანონებს. ეს არის ეროვნული ენების ერთგვარი კვინტ-ესენცია. ესპერანტოს ფილოლოგიურ ღირსებას დადებით შეფასებას აძლევდნენ უალრესად გამოჩენილი ფილოსოფოსები და ენათმეცნიერები, მაგალითად, მაქს მილური, ჟან ბოდუენ დე კურტენე, ა. მეიე და სხვები.

ესპერანტისტული მოძრაობა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა უბრალო ვარშაველმა მეოცნებემ, ბევრ ქვეყანას მოედო. მდიდარმა ორიგინალურმა და თარგმნილმა ლიტერატურამ, ესპერანტისტების 40 მსოფლიო კონგრესმა, მრავალრიცხოვანმა საერთაშორისო კონფერენციებმა და შეხვედრებმა, რადიოგადაცემებმა, ვაჭრობასა და ტურისტიკაში პრაქტიკულმა გამოყენებამ მთელ მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ საერთაშორისო ენაზე — ესპერანტოზე ლაპარაკი შეუძლიათ არა მარტო სხვადასხვა რასების ხალხებისა და საზოგადოებრივი ფენების წარმომადგენლებს, არამედ ამ ენაზე შეიძლება გამოითქვას უაღრესად რთული აზრები და გრძნობები.

1917 წლის 14 აპრილს ვარშავაში გარდაიცვალა ლიუდოვიკ ზამენგოფი. იგი უკვე სახელგანთქმული იყო, ხოლო ესპერანტის მილიონობით მომხრე სარგებლობდა ვარშაველი ექიმის ქმნილებით.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პოლონეთში კვლავ აღორძინდა ესპერანტისტთა მოძრაობა, რომელიც ჰიტლერული ოკუპაციის წლებში იდევნებოდა. პოლონეთის ესპერანტისტთა კავშირი შედის ესპერანტისტების მსოფლიო კავშირში, რომელიც იუნესკოს (გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაცია. რედ.) საკონსულტაციო ორგანიზაციას წარმოადგენს.

ესპერანტისტთა პოლონეთის კავშირს თავისი განყოფილებები აქვს 15 ქალაქში, იგი ხელმძღვანელობს ესპერანტისტთა სტაციონალურ და დაუსწრებელ კურსებს, უშვებს თავის „ბიულეტენს“ და სახელმძღვანელებს. კავშირის ინიციატივით გამომცემლობა „პოლონიამ“ ესპერანტოს ენაზე გამოსცა ადამ მიცკევიჩის დიდი ხალხური ეპოპეა „პან ტადეუში“ და მეჩისლავ იასტრუნის შრომა, მიძღვნილი დიდი პოლონელი პოეტისადმი. დასაბეჭდად მზადდება პოლონური ლიტერატურის ისეთი საუკეთესო ნიმუშების თარგმანები, როგორიც არის პოლონეთის უდიდესი მწერლის ბოლესლავ პრუსის „ფარაონი“ და გამოჩენილი პოეტის იულიან ტუვიმის ლექსები. კავშირის ინიციატივით ახალგაზრდობის შარშანდელი ფესტივალის დროს ვარშავაში გაიმართა 15 ქვეყნის ახალგაზრდა ესპერანტისტთა საინტერესო შეხვედრა. ეს იყო ერთადერთი ღონისძიება, რომელიც უთარჯიმანებოდ ჩატარდა.

მაგისტრი
ისაი დრატვერი.

ჟურნალი „პოლონეთი“ № 7.

ჩ ი ნ ე თ შ ი





სახელმწიფო მეურნეობა „მეგობრობა“ (ხეილუნძიანის პროვინცია) ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ყველაზე მექანიზებული მეურნეობაა. მომდინარე წლის გაზაფხულზე აქ ხორბალი დაითესა 16 ათას ჰექტარზე. თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 16-დან 25 ცენტნერამდე მარცვალი.

• • •

ჩინეთში მდინარე იანძიზე უხანში შენდება დიდი ხიდი. მას ექნება 9 მალი. ხიდის საერთო სიგრძე იქნება 1 კილომეტრი და 440 მეტრი. ხიდზე გაუვანილ იქნება სარკინიგზო ხაზი და ავტომაგისტრალი. ახლა უკვე ჩანს ხიდის კონტურები. დადგმულია პირველი მალის საყრდენები და ფერმა. მშენებლები ცდილობენ ხიდის მშენებლობა დაამთავრონ მომავალი წლის ბოლოსათვის.

სურათებზე: **ზევით** — კომბაინები იღებენ უხვ მოსავალს; **ქვევით** — ახალი ხიდის პირველი მალი.

ხინხუას სააგენტოს ფოტო.

სუეცის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისათვის

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის განცხადება

საბჭოთა საზოგადოებრიობა, ისევე, როგორც მსოფლიოს ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობა, დიდად შეშფოთებულია ახლო აღმოსავლეთში მშვიდობისათვის შექმნილი საფრთხით. დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები, რომლებსაც მჭარს უპერს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, ცდილობენ სუეცის არხის საკითხში გამოიყენონ ძალის პოლიტიკა, რომელიც ყველა ხალხმა დაგმო.

დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა მოქმედება არ შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სულისკვეთებასა და წესდებას. იგი ეწინააღმდეგება ყველა ხალხის ინტერესებს და ყველა ხალხი გამოდის იმის წინააღმდეგ, რომ სადავო საკითხი ძალით გადაიჭრას. ინგლისის ფართო საზოგადოებრივი წრეები გმობენ ინგლისის მთავრობის საქციელს და მტკიცედ მოითხოვენ სუეცის საკითხის მშვიდობიან გადაჭრას. მშვიდობის მომხრენი საფრანგეთში, თავიანთ მხრივ, მოუწოდებენ უარი თქვან მუქარის პოლიტიკაზე და დაიწყონ მოლაპარაკება. ყველა ქვეყანაში ძლიერდება მოძრაობა იმ მისწრაფების წინააღმდეგ, რომ ძალა იხმარონ სუეცის არხის რაიონში.

ყოველი სამხედრო კონფლიქტი საფრთხეს უქმნის მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეს. დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა მოქმედება ამიტომ წარმოადგენს მუქარას ყველა ხალხის მშვიდობისა და უშიშროებისათვის და ყველა ხალხი ენერგიულად უნდა მოითხოვდეს მოლაპარაკებას, იბრძოდეს მუქარისა და ულტიმატუმების წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის მშვიდობის მომხრენი მშვიდობის ყველა მეგობართან ერთად მხურვალედ უპერენ მხარს მსოფლიო საბჭოს მომართვას, რომელიც ყველა მთავრობას მოუწოდებს გამოიყენონ მთელი თავიანთი გავლენა, რათა სუეცის კონფლიქტი გადაიჭრას მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპების შესაბამისად. ნათლობის თავისუფლება სუეცის არხით უზრუნველყოფილ უნდა იქნას ყველა ქვეყნისათვის მშვიდობიანი გზით, როგორც ეგვიპტის განუყოფელ სუვერენულ უფლებათა, ისე იმ სახელმწიფოთა ინტერესების გათვალისწინებით, რომლებიც სუეცის არხით სარგებლობენ. სუეცის საკითხის მხოლოდ ასეთი სამართლიანი გადაწყვეტა შეესაბამება მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ინტერესებს.

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტი მშვიდობის ყველა საბჭოთა მოქმედის სახელით მოუწოდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას სუეცის არხის საკითხის განხილვისას არ გადაუხვიოს იმ პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად დაედო მას შექმნისას, და მტკიცედ მოითხოვოს ისეთ გადაწყვეტილებათა მიღება, რომლებიც უზრუნველყოფენ როგორც ეგვიპტის სუვერენულ უფლებათა დაცვას, ისე არხით ყველა სახელმწიფოს გემების გავლის თავისუფლებას. ხალხთა ნებით შექმნილმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უნდა შეძლოს და კიდეც შეძლებს მიაღწიოს იმას, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობანი ასრულებდნენ თავიანთ ვალდებულებებს ამ ორგანიზაციის წინაშე.

სუეცის საკითხი უნდა გადაიჭრას მშვიდობიანი გზით! ამას მოითხოვს მშვიდობისმოყვარე საბჭოთა ხალხი. ამას მოითხოვს მსოფლიოს ყველა ხალხი.

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტი.

საბჭოთა კავშირ-ისლანდიის სავაჭრო ურთიერთობის გამო

17-დან 27 სექტემბრამდე რეიკიავიკში სავაჭრო მოლაპარაკება მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირისა და ისლანდიის სავაჭრო დელეგაციებს შორის საქონლის ურთიერთ მიწოდების შესახებ გრძელვადიანი შეთანხმების დადების თაობაზე. მოლაპარაკება, რომელიც მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, დამთავრდა ამა წლის 27 სექტემბერს ოქმის ხელმოწერით სსრ კავშირისა და ისლანდიის საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ 1957-1959 წლებში.

ოქმში ითვალისწინებს ვაჭრობის მნიშვნელოვან გაფართოებას ორივე ქვეყანას შორის. საბჭოთა კავშირი ოქმის შესაბამისად ისლანდიას მიაწვდის ნავთობპროდუქტებს, ხე-ტყის მასალას, ცემენტს, შავი ლითონების ნაწარმს, მარცვლეულს, ავტომობილებსა და სხვა საქონელს. ისლანდია სსრ კავშირს მიაწვდის ზურგეულს, დამარილებულ და გაყინულ ქაშაყს.

ოქმს ხელს აწერენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — საბჭოთა დელეგაციის მეთაური ა. ნ. ფინოგენოვი; ისლანდიის მხრივ — საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ონსონი.

საფრანგეთ-ინგლისის მოლაპარაკება პარიზში

პარიზი, 27 სექტემბერი. (საკადსი). დღეს პარიზში დამთავრდა საფრანგეთ-ინგლისის ორდღიანი მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ორი ქვეყნის მთავრობათა მეთაურებმა და საგარეო საქმეთა მინისტრებმა.

როგორც ორივე დელეგაციის წარმომადგენელთა განცხადებებიდან ჩანს, მოლაპარაკება მიეძღვნა უმთავრესად საფრანგეთ-ინგლისის საერთო პოზიციის გამოსუშავებას სუეცის საკითხში უშიშროების საბჭოში ამ პრობლემის განხილვასთან დაკავშირებით, აგრეთვე იმ ღონისძიებათა შემუშავებას, რომლებიც ნავარაუდევია იმისათვის, რომ ეგვიპტეს თავს მოახვიონ დასავლეთის სახელმწიფოების მოთხოვნები.

როგორც დღეს გაზეთი „ეკო“ აღნიშნავდა, მის განკარგულებაში არსებული ცნობებით, მინისტრებმა გადაწყვიტეს უშიშროების საბჭოს „დაადასტურებინონ სუეცის არხის საერთაშორისო მართვის საქმიანობა“, ე. ი. აპირებენ დაიცვან სუეცის არხის უცხოელთა ხელში გადაცემის გეგმა, რომელიც ეგვიპტემ უარყო და მსოფლიო საზოგადოებრიობამ დაგმო.

მოლაპარაკების შემდეგ გამოქვეყნდა კომუნიკე, რომელშიც გაძლიერებით რეკლამირებულია „საფრანგეთ-ინგლისის სოლიდარობის განმტკიცება“.

„კერძოდ, — აღნიშნულია კომუნიკეში, — მინისტრებმა განსაზღვრეს თავიანთი საერთო პოზიცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საფრანგეთისა და ინგლისის ამასწინანდელ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომ სუეცის არხის საკითხი უშიშროების საბჭოს გადასცენ. ისინი სავსებით შეთანხმდნენ იმ ხაზზე, რომელსაც დაიცავენ მომავალ კამათში.

მინისტრებმა გამოთქვეს მზადყოფნა განაგრძონ ყოველგვარი სხვა მოვლენის მიმართ მოქმედება მჭიდრო თანამშრომლობით...“

კომუნიკეში ნათქვამია, რომ მოლაპარაკება შეეხო აგრეთვე „საფრანგეთისა და ინგლისის ურთიერთობის განვითარებას“ უკანასკნელ წლებში. მოლაპარაკების მონაწილენი აცხადებენ, რომ ისინი „შეთანხმდნენ განაგრძონ შემდგომი შესწავლა, რომლის მიზანია თავიდან აიცილონ ის მცირე უთანხმოებანი, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ამ ორ ქვეყანას შორის“.

კომუნიკეს დასკვნითი ნაწილი ეძღვნება „მოქმედებას, რომელსაც ორივე ქვეყანამ მიმართა ომის დამთავრების შემდეგ დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიური თანამშრომლობის განმტკიცების მიზნით“. ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ აპირებენ „განაგრძონ ეს პოლიტიკა და შეინარჩუნონ... ახალი ფორმები, რომლებიც შეიძლება მან მიიღოს“.

ა. იდენი და ს. ლოიდი დღეს დღის მეორე ნახევარში პარიზიდან ლონდონს გაემგზავრნენ. გამგზავრების წინ იდენმა კორესპონდენტებს განუცხადა, რომ საფრანგეთისა და ინგლისის მინისტრებმა „გადაწყვიტეს ამჟამად განაგრძონ სიფრთხილის სამხედრო ღონისძიებანი (ე. ი. სამხედრო-მოსამზადებელი ღონისძიებანი. — რედ.) მხელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში“.

თბილისი

ქალაქის ექიმობა

სეზონის გახსნა სახელმწიფო ცირკში



28 სექტემბერს თბილისის ცირკში დაიწყო ახალი სეზონი. პირველ პროგრამაში მონაწილეობას იღებენ მრავალფეროვანი საცირკო ჟანრის მსახიობები. წარმატებით გამოდიან რსფსრ დამსახურებული არტისტი ეონგლიორი კ. ნიკოლსკი, აკრობატები ალექსეევები. მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა მ. იაკუტსკაიამ. ის შესანიშნავად ასრულებს მავთულზე მეტად რთულ ნომრებს. ასევე არანაკლებ ინტერესს იწვევენ აკრობატული ექსცენტრიკოსები ი. ვავილოვა და მ. ფაერტაგი.

პროგრამის ცენტრალურ ნაწილს შეადგენს ატრაქციონი, რომელშიც მონაწილეობას იღებს ვლადიმერ ბორისოვი თავისი ლომებით. ბორისოვი ახალგაზრდა მწვრთნელია. იგი თბილისის მაყურებელს პირველად წარუდგა მეტად საინტერესო პროგრამით. ბორისოვის მუშაობა გამოირჩევა განსაკუთრებული სტილით. მისი ნომრები გადაჯარბებული აფექტაციით კი არ არის გადატვირთული, არამედ უფრო თავისუფალია.

თბილისელებისათვის კარგად ცნობილია დონის ცხენოსანთა ანსამბლი რსფსრ დამსახურებული არტისტის მ. ტუგანოვის ხელმძღვანელობით. ისინი მეტად სწრაფად და მიმზიდველად ასრულებენ ყოველ ნომერს.

დიდ საცირკო წარმოდგენაში ყოველდღე მონაწილეობას იღებენ აგრეთვე ლიხუდი, რომელმაც წარმოადგინა ჩინური ნომრები, აკრობატები იოლკინის ხელმძღვანელობით, საჰაერო გიმნასტები კორჩაგინები და სხვები.

მთელ საღამოს მანეეზე არიან ძმები კომაკები შირმანები. ისინი მეორე განყოფილების ბოლოს გამოდიან მუსიკალური ექსცენტრიკული ნომრით.

მომდინარე სეზონში თბილისს ესტუმრებიან ცირკის მოყვარულთათვის კარგად ცნობილი მსახიობები კიო, ვ. დურაგი, აგრეთვე ჩამოვლენ საბჭოთა ცირკის ოსტატები, რომლებიც დიდი წარმატებით გამოდიოდნენ ბრიუსელში, პარიზსა და ლონდონში.

• • •

სურათებზე: ზევით — მომთვინიერებელი ვ. ბორისოვი ლომებთან; ქვევით — ვ. ბორისოვის ციერ მოთვინიერებული ლომი გადის თოკებზე.

ფოტო შ. გოქაძისა.

„ნიანგის“ კუთხე კინოჟურნალებში

ეკრანზე ერთმანეთს ცვლიან დიდი მშენებლობები, დასასვენებელი სახლები, შავი ზღვის სანაპიროები, ჩაის პლანტაციები და სხვ. ეს სურათები გვიჩვენებენ მიღწევებს ცხოვრების ყველა დარგში. მაგრამ ჩვენს ცხოვრებაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანებებია, რასაც უნდა ვებრძოდეთ ყველა საშუალებით.

აი ამ საკითხს მიაქციე უურადღება თბილისის კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ქრონიკალურ-დოკუმენტალური ფილმების სექტორის მუშაკებმა. ოპერატორებმა იკისრეს დადებითს ფაქტებთან ერთად გადაიღონ უარყოფითი მოვლენებიც.

ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს „ნიანგის“ კუთხე, რომელიც შედის კინოჟურნალ „საბჭოთა საქართველოს“ № 21-ში. მაყურებელი ეცნობა მომრაობის წესების დამახინჯების ფაქტებს. გადაღებულია სატვირთო ავტომანქანა, რომელზეც არასწორად დაწყობილია ფიცრები. აგერ მსუბუქ ავტომანქანა „პობედაზე“ მძღოლს თავა დაუტეხია. აგერ მძღოლს უგზოუკეცლოდ მიჰყავს თავისი მანქანა. მთვრალი შოფერი ძღივს გადმოჰყავთ კაბინიდან.

არანაკლებ საინტერესო კრიტიკულ სიუჟეტს შეიცავს კინოჟურნალი „საბჭოთა საქართველო“ № 24. აქ გადაღებულია გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის საშუალო სკოლის შენობის ნაწილი, რომლის მშენებლობა 1935 წელს დაიწყო. მაყურებელი ხედავს შენობის კედლებს, რომლებზეც უკვე ბაღახს გადაუფენია. იქვე დგანან მომზადარი ახალგაზრდები, რომლებიც ამ სკოლის მშენებლობის დაწყების წელიწადს დაიბადნენ.

სასურველი იქნებოდა თბილისის კინოსტუდიის ქრონიკალურ-დოკუმენტალური ფილმების სექტორს კინოჟურნალების ყოველ ნომერში ჰქონდეს „ნიანგის“ კუთხე.

ლ. ხუბულური.

50 ათასი მანეთი მოგება

ახმეტა. (საკ. კორ.). ახმეტის ცენტრალურ შემნახველ სალაროში სოფელ ოქიოს მცხოვრებმა თ. მეზვრიშვილმა წარადგინა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეორე სახელმწიფო სესხის ობლიგაცია, რომელმაც 50 ათასი მანეთი მოიგო.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

საქართველოს რადიოს გადაცემათა პროგრამა 1 ოქტომბრისათვის

პირველი პროგრამით

რადიოსადგურებით 1571 და 59,52 მეტრ ტალღებზე, აგრეთვე თბილისის საქალაქო ქსელით

06.30 — საბჭოთა კავშირის ხალხთა მუსიკა, 17.15 — ნაწყვეტები ვერდის ოპერებიდან, 18.15 — ვიქტორ დოლიძის სიმფონიური პოემა „ივერიადა“, 18.40— გადმოცემა მოსწავლეთათვის — „მოგონებანი ლენინზე“, 19.20 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, 19.40 — რადიოსადგურებით გადმოცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, თბილისის საქალაქო ქსელით — რუსული კამერული მუსიკის კონცერტი, 20.35 — ქართული ხალხური სიმღერები.

რადიოსადგურით 1571 მეტრ ტალღაზე და თბილისის საქალაქო ქსელით

21.00 — საუბარი „ახალ სასწავლო წელს პარტიული განათლების სისტემაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის შესწავლის პროგრამის შესახებ“, 21.35 — ჩინური მუსიკის კონცერტი, 22.00 — ლიტერატურული გადმოცემა — რადიოინსცენირება გრიბაჩოვის მოთხრობისა „ამბავი პირველი სიყვარულისა“.

მეორე პროგრამით

რადიოსადგურით 59,52 მეტრ ტალღაზე

21.00 — ა. შავერზაშვილის ოპერის „მარინეს“ მონტაჟი, 22.30 — საესტრადო მუსიკის კონცერტი.

რადიოსადგურით 66,08 მეტრ ტალღაზე

სომხურ ენაზე

18.15 — უკანასკნელი ცნობები, 18.30 — ლიტერატურულ-მუსიკალური გადმოცემა — „მეგობრობა“.

აზერბაიჯანულ ენაზე

20.30 — უკანასკნელი ცნობები, 20.40 —საუბარი: „რაში მდგომარეობს კომუნისტური პარტიის პოლიტიკის ძალა“.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

წარმოდგენები ოქტომბრის 2- დან 14-მდე (ჩათვლით)

სამშაბათს 2 ოქტომბერს ფ. დიუმანუა, ა. დენერი **დონ სეზარ დე-ბაზან**	კვირას 7 ოქტომბერს **ოიდიპოს მეფე** დღისით	პარასკევს 12 ოქტომბერს იონა ვაკელი **საქმიანი კაცი**
ოთხშაბათს 3 ოქტომბერს გრ. ბერძენიშვილი **ლერწამი ქარში**	კვირას 7 ოქტომბერს **ოიდიპოს მეფე** საღამოს	შაბათს 13 ოქტომბერს **ოტელო**
ხუთშაბათს 4 ოქტომბერს უ. შექსპირი **ოტელო**	სამშაბათს 9 ოქტომბერს **ლერწამი ქარში**	კვირას 14 ოქტომბერს **ლერწამი ქარში** დღისით
პარასკევს 5 ოქტომბერს **ლერწამი ქარში**	ოთხშაბათს 10 ოქტომბერს ი. ჭავჭავაძე **გლახის ნაამბობი**	კვირას 14 ოქტომბერს ო. ჩიჯავაძე **პირველი მერცხლები** საღამოს
შაბათს 6 ოქტომბერს სოფოკლე **ოიდიპოს მეფე**	ხუთშაბათს 11 ოქტომბერს **დონ სეზარ დე-ბაზან**	მზადდება ბ. ნუშიჩის **„ფილოსოფიის დოქტორი“**

წარმოდგენის დასაწყისი: საღამოს 8 საათზე, დღისით 12 საათზე. ა. წ. 1 ოქტომბრიდან ბილეთების ფასი დაკლებულია. ბილეთები იყიდება თეატრისა და ცენტრალურ თეატრალურ სალაროებში.

ჟურნალ „საქართველოს კოლმეურნის“ რედაქციის კოლექტივი იუწყება ამავე რედაქციის გაწყოფილების გამგის **ტრიფონ თეოდორეს-ძე თოდრაძის** გარდაცვალებას.

შვილები ზარიამ, ივლიანე, სიძე გრიგოლ ჯაიანი, რძლები ზარიამ, ნინო, აინა ოჯახებით იუწყებიან **საშა დუტუს ასულ ცაგურია-დგებუაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-X დიდ ჭყონში.

შვილი დოდო, დები ზარიამ, თამარ, ძმა შალვა, რძალი თ. ალიხანოვა, სიძე კ. საყვარელიძე ოჯახებით იუწყებიან **ნადეჟდა ანდრიას ასულ რევაზიშვილის** გარდაცვალებას. ჰანაშვიდი 1-X, 8 ს. გამოსვენება 2-X, 5 ს. ჯავახიშვილის ქ. № 5.

შვილები ბაბილინა, ნატაშა, სპარტაკ, ელენე, სონია, სიძეები შ. ბუაჩიძე, გ. თუთისანი, რძალი ელენე ანანიაშვილი ოჯახებით იუწყებიან **ზაქარია ილიას-ძე მამაცაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-X ქ. ხაშურში. გამოსვენება ბინიდან, ბრძოლის ქ. № 4.

ალექსანდრე და ირაკლი ხერხეულიძეები ოჯახებით და ნათესავებით იუწყებიან **ანა ილიას ასულ ხერხეულიძე-ლომინაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 30-IX, 1-X, 8 ს. გამოსვენება 2-X, 5 ს. ბინიდან, ორჯონიკიძის ქ. № 40-ა.

დები თეოფილინე და რევასია ჭიპინაძეები შვილებით იუწყებიან **ვლადიმერ ნესტორის-ძე ყიფიანის** გარდაცვალებას. გამოსვენება 30-IX, 4 ს. მცხეთის ქ. № 34.

დღეს

თბილისის თეატრებში

რუსთაველის სახელობის — ესპანელი მღვდელი (დილას), საქმიანი კაცი (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის**— მკაცრი ქალიშვილები (დილას), მეფე ერეკლე (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — სამუდამო სიყვარული (დილა-საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — უცნაური დანაკარგი (10 ს. 30 წ. და 3 ს. 30 წ.), **ფილარმონია** — საესტრადო კონცერტი ე. როზენერის ხელმძღვანელობით (საზაფხულო თეატრი, 9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), **ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, ისანი** (საზამთრო), **26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები** — **ბატონი 420** (II სერია), **კიროვის სახელობის პარკი, კომუნარების ბაღი, ორჯონიკიძის სახელობის პარკი** — **ბატონ 420** (I სერია), **კომკავშირელი, კოლმეურნე, კოლხიდა** (საზამთრო), **დიდუბე** (საზამთრო), **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზამთრო) — ჩრდილი გზაზე, **სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი** — ბრძოლა ველზე, **გორკის სახელობის კულტურის სახლი**— სიმართლის გზა, **ფილარმონიის ბაღი** — წითელი და შავი (I და II სერია), **ისანი** (საზაფხულო) — ბელორუსიის კონცერტი, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — ქალიშვილი ბომბეიდან, **დიდუბე** (საზაფხულო) — გაზაფხულის ჭირხლი, **ოფიცერთა სახლი** — ბედნიერებასთან შეხვედრა.

შვილი ელენე ცერაძე, სიძე ევტიხი მახარაძე იუწყებიან **ვლადიმერ ბესარიონის-ძე ელიავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-X, 5 ს. სოფელ ღანირში (სამტრედიის რ.).

УЦ 07128 ჰოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.